სამი უბედური შემთხვევა "მადნეულში" A2

ეროვნული უშიშროების კონცეფცია პარლამენტს გვერდს აუვლის A2

დავითაშვილს მოლაშვილი ლამაზისეულს აბონებს A3



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი, 22 აგვისტო, 2002 წელი. №81 — ფასი 50 თეთრი


## პრეზიდენტთან ჯენტლმენური შეთანხმებით, მოლაშვილი სააკაშვილს უტევს

თამარ ხორბალაძე

***"მართალია, კონტროლის პალატის თავმჯდომარე ვალდებული არ არის, ანგარიში ჩააბაროს მთავრობას, მაგრამ მას საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია აქვს სათქმელი. ამიტომ ჩვენ ჯენტლმენურ შეთანხმებას მივაღწიეთ..."*** - *ასეთი შესავალი გაუკეთა საქართველოს პრეზიდენტმა კონტროლის პალატის თავმჯდომარის გამოსვლას. მანამდე სულხან მოლაშვილის არც ერთ მსგავს გამოსვლას პრეზიდენტის ასეთი განმარტება არ მოჰყოლია.*

*სხდომის შემდეგ სულხან მოლაშვილმა პრესასთან საუბარში განმარტა, რომ გამოსვლის დეტალებზე საქართველოს პრეზიდენტს არ შეთანხმებია.*

***"პრეზიდენტს ასეთ საკითხს არ ვუთანხმებთ ხოლმე. საერთოდ, ის არც ითხოვს ამას..."*** *- განაცხადა მოლაშვილმა.*

*ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებების გაკეთება ხელისუფლებას დღეს იმისთვის დასჭირდა, რომ მთავრობის სხდომაზე განვითარებული მოვლენებისთვის პოლიტიკური სარჩულის დადების საფრთხე თავიდან აეცილებინა.*

*მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, რადგან მთელი სხდომა, რომელიც თითქოს აბსოლუტურად ურთიერთდაუკავშირებელი საკითხებისგან შედგებოდა, შეიკრა მთავრობის ყოფილ რეფორმატორულ ჯგუფზე სახელისუფლებო თავდასხმების ერთ საერთო ჯაჭვად.*

კონტროლის პალატის თავმჯდომარის გამოსვლამდე საქართველოს მთავრობა ინვალიდთა სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს განიხილავდა. განხილვაზე ინვალიდებმა რამდენიმე თვის წინ გაუქმებული შეღავათების აღდგენას ვერ მიაღწიეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პროვოკაციის მცდელობა სამშვიდობო მანდატით



სამშვიდობოების "დიდი გასეირნება"

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თამარ კაციტაძე

ნუთუ საქართველოში მესამე კონფლიქტური ზონა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორია, მორიგი პროვოკაციისთვის მზადდება? ამ კითხვაზე პასუხი, ჯერჯერობით, ოფიციალურად არც საქართველოს ხელისუფლებისგან და არც რუსი სამშვიდობოებისგან არ არსებობს. დღეისათვის არსებობს მხოლოდ ფაქტები. კოდორის ხეობასა და პანკისში პროვოკაციების შემდეგ, ცხინვალის რეგიონში განლაგებული სამშვიდობოებიც, რბილად რომ ვთქვათ, საკუთარი მანდატის ფარგლებს გასცდნენ.

გუშინ დილით ცხინვალში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების შტაბი საბრძოლო აღჭურვილობით შეიარაღებულმა 211-მა მებრძოლმა დატოვა. ისინი "ურალის" ტიპის ათი ავტომობილით და ორი მსუბუქი მანქანით, კასპის რაიონის გავლით, ახალგორის რაიონის სოფელ გარუბანში შემოვლითი გზით ჩავიდნენ. რუსი გენერლის ვასილ პრიზემლინის ბრძანებით, ქართველი სამშვიდობოები ახალგორის რაიონის შესასვლელში, სოფელ ახმაჯში განლაგდნენ. მათ რაიონში შემავალი და გამავალი ავტომანქანები უნდა გაეკონტროლებინათ. რუსმა და ოსმა სამშვიდობოებმა კი, ოსი პოლიციელების თანხლებით, სოფლის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტები დაიკავეს. სოფელში შესული მშვიდობისმყოფელნი სამ ნაწილად გაიყვნენ – ერთ ნაწილი სოფლის იმ ამაღლებულ ადგილას დაბანაკდა, საიდანაც რაიონის ერთადერთი შესასვლელი გზა კონტროლდება; მეორე ნაწილმა სოფლის მთებში დაიწყო სანგრების გათხრა, მესამემ კი სამხედრო ოპერაციისთვის სოფელი ვაშლოვანი აირჩია.

გაგრძელება A2 გვერდზე

## დავით თევზაძის ფოთში ჩასვლამ აფხაზები შეაშფოთა

თეა გილიგაშვილი

პანკისის ხეობასთან მიმდინარე პროგრამას ფოთში საქართველო-საბერძნეთის ერთობლივი სამხედრო წვრთნა გააგრძელებს. ამ საკითხს მიეძღვნა სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელიც ბოლო დროს მომრავლებულ უცხოელ სტუმართა მიღება-გასტუმრებით გადაღლილმა მაღალჩინოსნებმა სწორედ ფოთში გამართეს. დავით თევზაძემ დილიდან დაათვალიერა სამხედრო ბაზა და დაესწრო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ფოთის დივიზიონის მიერ ჩატარებულ საბრძოლო წვრთნას. დივიზიონი დაყოფილი იყო სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და სამედიცინო ნაწილებად. ჯარისკაცებმა შეიარაღებული ძალების გენერალიტეტს დესანტის გადმოსხმისა და მოგერიების, საბრძოლო მანევრებისა და ბრძოლის ველიდან დაჭრილების გამოყვანის ტექნიკა აჩვენეს.

სამხედრო საბჭოს მოგვიანებით გამართულ სხდომაზე დილით მიღებული შთაბეჭდილებების განხილვა მოხდა. მინისტრის განცხადებით, ვერც ბაზების მდგომარეობითა და ვერც ჯარისკაცთა მომზადების დონით ვერ დავიტრაბახებთ, თუმცა, ეს რესურსები საშუალო-დამაკმაყოფილებლად შეიძლება შევაფასოთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფოთი მზად არის მომავალი სწავლებისათვის.

ახალ ფართომასშტაბიან, ანტიტერორისტულ წვრთნას, დაახლოებით, 15 მილიონი დოლარი სჭირდება და მას, სავარაუდოდ, საბერძნეთის მხარე დაფარავს. ერთი კვირის შემდეგ საქართველოში საბერძნეთის ელჩი ფოთს ესტუმრება და თვითონ შეაფასებს სწავლებისათვის საჭირო პირობებს. დაგეგმილია ქართველი ოფიცრების საბერძნეთში მივლინებაც. ამის შემდეგ სწავლების პროგრამა უშიშროების საბჭომ უნდა დაამტკიცოს. გარდა ამისა, მოსაგვარებელია უამრავი საკითხი, რადგან ბაზების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, აქ ჯარისკაცებს წვრთნის მინიმალური პირობებიც კი არა აქვთ.

კახეთში ჯერაც არგახსნილმა სამხედრო სწავლებამ - "კახეთი-2002"-მა - რუსეთი ააფორიაქა. ქართული შეიარაღებული ძალების ინტენსიურმა წვრთნებმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ხელმძღვანელობასაც "დაუფრთხო ანგელოზები". ორი დღის წინათ, მათ გაავრცელეს ინფორმაცია, რომ სოხუმი და ცხინვალი წლის ბოლომდე ერთობლივ ანტიტერორისტულ წვრთნებს დაიწყებენ. ამ საკითხზე ანრი ჯერგენია და ედუარდ კოკოითი მოსკოვში ჯერ კიდევ გაზაფხულზე შეთანხმდნენ.

სარწმუნო წყაროს მონაცემებით, აფხაზებმა, ფოთის წვრთნების საპასუხოდ, სამხედრო შენაერთებით სასწრაფოდ გაამაგრეს საზღვაო მისადგომები და სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არიან.

## დენთის სუნი გაზის აფეთქების ვერსიას საეჭვოს ხდის

რუსუდან ნიკურაძე
*საქ.კორ.მოსკოვში*

ჩეჩნეთში მომხდარი ავიაკატასტროფის გამო, რუსეთის პრეზიდენტმა 21 აგვისტო გლოვის დღედ გამოაცხადა. მორიგი კატასტროფა კი 20 აგვისტოს გვიან ღამით ოსტანკინოს მიდამოებში დატრიალდა - იმ ქუჩაზე, სადაც ტელეცენტრის ძირითადი კორპუსებია განლაგებული და რუსეთის მთავარი ტელეანძა მდებარეობს.

აფეთქება მოსკოვის დროით 23 საათსა 10 წთ-ზე მოხდა. ამ სტრიქონების ავტორი კოროლიოვის ქუჩაზე მდებარე 32-ე სახლის მოპირდაპირე მხარეს ავტობუსის გაჩერებას აფარებდა თავს, როცა გამაყრუებელი

გაგრძელება A4 გვერდზე

## "ეი-ი-ესი" "სიმენსის" წინააღმდეგ?

### მეათე ბლოკის აფეთქების მიზეზთა შემსწავლელმა კომისიამ მუშაობა დაასრულა

გიორგი კალანდაძე

*"თბილსრესის" მეათე ენერგობლოკის აფეთქების საქმის გამოძიებამ მსოფლიოს ორი მსხვილი კომპანია - ამერიკული "ეი-ი-ესი" და გერმანული "სიმენსი" - შესაძლოა, ერთმანეთს დაუპირისპიროს. "ეი-ი-ესის" დაკვეთით ჩატარებულმა ექსპერტულმა დასკვნამ მეათე ბლოკის ავარიის მიზეზად მართვის სისტემის გაუმართაობა მიიჩნია, რომელიც თავის დროზე "სიმენსმა" დაამონტაჟა. ამ საკითხს უკვე გამოეხმაურა გერმანიის მთავრობა, რომლის წარმომადგენლებმაც ქართველ კოლეგებს მეათე ბლოკის აფეთქების მიზეზების დასადგენად ქართულ-გერმანულ-ამერიკული კომისიის შექმნა შესთავაზეს.*

თუ "ეი-ი-ესის" ექსპერტთა დასკვნა სიმართლეს შეეფერება, დაახლოებით 70 მილიონი დოლარის ფინანსური ზარალი, რაც ამერიკულ კომპანიას მეათე ბლოკის აფეთქების შედეგად მიადგა, "სიმენსის" გადასახდელი იქნება. გერმანულ კომპანიას ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია. თუმცა, როგორც საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მერაბ კვეკვესქირმა განაცხადა, ორი კვირის წინ მეათე ბლოკის შესახებ საუბარი თბილისში გერმანიის სამთავრობო დელეგაციის ვიზიტისას წარიმართა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## გაძვირებულ ტარიფს მოსახლეობა გადაიხდის

სოფო კვინტრაძე

ელექტროენერგიის ტარიფის 12,4 თეთრიდან 13,7 თეთრამდე გაზრდას დიდი ხმაური მოჰყვა. მოსახლეობის უკმაყოფილება თითქმის თანაბრადაა მიმართული, როგორც "ეი-ი-ეს თელასის" ხელმძღვანელობის, ასევე ხელისუფლებისადმი. არანაკლები დაბნეულობა გამოიწვია აშშ-ს მთავრობის მიერ გამოყოფილმა ცხრა მილიონმა დოლარმა, რომელსაც ხელისუფლებისა და "ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენლები განსხვავებული მიზნებისთვის "ხარჯავენ". პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ 19 აგვისტოს განაცხადა, რომ აშშ-ს მთავრობა ცხრა მილიონ დოლარს დედაქალაქში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასახმარებლად გამოყოფს, რითიც დაიფარება ელექტროენერგიის ტარიფის ზრდით გამოწვეული სხვაობა. გარდა ამისა, შევარდნაძის განცხადებით, ერთი წლის შემდეგ "ეი-ი-ეს თელასი" ელექტროენერგიის ტარიფის გაიაფებას დაიწყებს. "24 საათმა" ორივე ინფორმაცია გადაამოწმა. სემეკშიც და "ეი-ი-ეს თელასშიც" აცხადებენ, რომ წარმოდგენა არა აქვთ, რა წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს პრეზიდენტი შევარდნაძე ზემოაღნიშნულ ინფორმაციას.

გაგრძელება A4 გვერდზე

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | ☼ |
| ქუთაისი | 31 | ☁ |
| ბათუმი | 28 | ☁ |
| სოხუმი | 29 | ☁ |
| ფოთი | 28 | ☁ |
| თელავი | 29 | ☼ |
| ზუგდიდი | 31 | ☁ |
| გორი | 27 | ☁ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1750 |
| ევრო | 2.1282 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3214 |
| რუბლი | 0.0688 |



დღეს მურმან ლებანიძის დაკრძალვაა

## "ის ცხოვრობს გალუმპულ ტყეების მწუხარებით..."

"ღრუბლები ჩაივლიან და ტყეებს გაბურავენ,
ამობოლდებიან ნისლები ულრანებით...
შენ ნუ გეწყინება პოეტის სამდურავი-
ის ცხოვრობს გალუმპულ ტყეების მწუხარებით.
დაღლილის, დაშლილის, დაჭრილის, ხეიბრის,
ხელჩაქნეულის და ყასიდად უკარებლის,
შენ ნუ გეწყინება- ის ცხოვრობს ღრეების,
ის ცხოვრობს გალუმპულ ტყეების მწუხარებით."



## პოლიციელის მკვლელობისთვის ძმებს გაასამართლებენ

თამარ კაციტაძე

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ პროკურატურაში დასრულდა და სასამართლოს გადაეგზავნა ძმების - გივი და მალხაზ შოთაშვილების საქმე, რომლებსაც, სხვა დანაშაულებთან ერთად, ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს სამძებრო განყოფილების უფროსი ინსპექტორის ლევან თელიძის მკვლელობაში ედებათ ბრალი.

1999 წლის 19 მაისს თბილისში, კუკიის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომატის ჯერით დაცხრილული ლევან თელიძის გვამი იპოვეს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მკვლელობას შემთხვევით შეესწრო ქურთი ეროვნების ორი მოქალაქე და შოთაშვილების ბრალეულობა მაშინვე გამოიკვეთა, დამნაშავეთა დაკავება წლების განმავლობაში ვერ მოხერხდა.

გაგრძელება A3 გვერდზე


A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 თვალსაზრისი

B2 სპორტი B3 რეკლამა B4 სხვადასხვა

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი აღფრთოვანებულია კოდორის ხეობასთან მობილური კავშირის დამყარებით. **"ადრე რაციით გაძნელებული იყო დაკავშირება, ახლა კი ბევრ ოჯახში მობილური ტელეფონია,"** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა, რომელმაც მთავრობის გუშინდელ სხდომაზე კოდორის ხეობაში ტელემაუწყებლობის აღდგენის შესახებ ინფორმაციაც მოისმინა.

მთავრობის სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია კოდორის ხეობისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ცეკავშირის მიერ გაწეული დახმარების შესახებაც.

კოდორის ხეობასთან დაკავშირებით საყვედურების მოსმენა მოუხდა ფინანსთა მინისტრს.

მთავრობის სხდომაზე განაცხადეს, რომ ფინანსთა სამინისტრო აჭიანურებს ხეობისთვის საჭირო 750 000 ლარის გამოყოფას.

ამ 750 000 ლარიდან 320 000 გათვალისწინებულია ფქვილისა და პირველადი მოხმარების სხვა საგნების შესაძენად; 120 000 ლარი - ამ პროდუქტების ტრანსპორტირებისთვის; 60 000 ლარი - აჟარის საშუალო სკოლის აღდგენისთვის; 200 000 - საავტომობილო გზების რაბილიტაციისთვის; 50 000 ლარი რადიოსატელეკომუნიკაციო კავშირების დამყარებისთვის. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** კონტროლის პალატის თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი უარს აცხადებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე. ასეთი გადაწყვეტილება აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების თავმჯდომარემ მიიღო.

**„მე ამ კაცს ვერ გავათავისუფლებ, რადგან მის მუშაობაში ერთი დარღვევაც კი არ არის“,** — განაცხადა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მოლაშვილმა.

თავის პოზიციას მოლაშვილი იმითაც ხსნის, რომ ეს **"კაცი ავადმყოფია და ჰყავს ასევე ავადმყოფი მეუღლე".** მისივე თქმით, აფხაზეთის კონტროლის პალატის ხელმძღვანელს არც თუ ბევრი ობიექტი აქვს შესამოწმებელი.

თუმცა, აფხაზეთის კონტროლის პალატის ხელმძღვანელმა, მარტო დევნილთა შემწეობების გაცემის საქმეში დარღვევების თაობაზე, პროკურატურას 900 ტომი გადასცა და **"ამის კეთებაში სისხლი ჩააქცია".**

მანვე განაცხადა, რომ ცვლილებების მიუხედავად, აფხაზეთის მთავრობის 30 პროცენტი ისევ ძველ თანამდებობაზეა დარჩენილი და კონტროლის პალატის თავმჯდომარეც მათ რიცხვში უნდა შევიდეს.

საქართველოს პრეზიდენტმა (რომელიც შს მინისტრსა და ნადარეიშვილს შორის წარმოშობილ ანალოგიურ წინააღმდეგობას ორშაბათს გამოეხმაურა სიტყვებით: **"მე არ ჩავერევი, ეს საქმე თავად უნდა მოაგვარონ."**) ამჯერად მოლაშვილის ეს განცხადება საერთოდ უკომენტაროდ დატოვა. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** აშშ-ის ფედერალური საგამოძიებო სამსახურის სტამბულის ოფისის ორი თანამშრომელი ქართული მხარის თხოვნით ჩაერთო “ეი-ი-ეს თელასის” ფინანსური მენეჯერის, 30 წლის ნიკა ლომინაძის მკვლელობის გამოძიებაში. როგორც საქართველოს შს მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა განაცხადა, ფედერალური საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლები, რომლებიც თბილისში სავარაუდოდ კვირის ბოლომდე ჩამოვლენ, გამოძიებას ძირითადად საექსპერტო კრიმინალისტიკის სფეროში დაეხმარებიან.

მკვლელობასთან დაკავშირებით რამდენიმე მუშა ვერსია არსებობს და საქმის გამოძიება ნელნელა წინ მიიწევს, თქვა მან. ნარჩემაშვილის თქმით, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ მკვლელობა ნიკა ლომინაძის სამსახურს უკავშირდება. ლომინაძე 14 აგვისტოს საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გენპროკურატურამ დაიწყო რუსული მხარის მიერ გადმოცემული მასალების შესწავლა 3 და 4 აგვისტოს ქართველი მესაზღვრეების მიერ დაკავებული 13 ჩეჩენის ექსტრადიციის საკითხზე. ამის შესახებ გენპროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ განაცხადა. გაბრიჩიძემ ვერ დააზუსტა, თუ რა დრო დასჭირდება ამ მასალების შესწავლას, რადგან, გენპროკურორის თქმით, დოკუმენტაცია საკმაოდ დიდი მოცულობისაა. “ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილება მხოლოდ იმის საფუძველზე იქნება მიღებული, თუ რამდენად საკმარისია რუსული მხარის მიერ წარმოდგენილი მასალები”, თქვა მან.

გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ გამოთხოვილი იქნება ასევე მასალები ორ ჩეჩენზე, რომლებიც ქართველმა მესაზღვრეებმა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე საგუშაგო “ხონეს” რაიონში 18 აგვისტოს დააკავეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია აცხადებს, რომ შეიძლება აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალოს ივლისის ბოლოს პანკისის ხეობაში დაკავებულ სტავროპოლის შს სამმართველოს სამ თანამშრომელს, რომლებიც სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისათვის თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სამი თვით წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან და რამდენიმე დღეა, პროტესტის ნიშნად იზოლატორში შიმშილობენ.

როგორც ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა, სტავროპოლის მილიციის თანამშრომლები - მიხეილ ტიჩკოვი, ვლადიმერ ბლინოვი და იური უგრიუმოვი, შეიძლება, თავდებით გამოუშვან საქართველოში რუსეთის საელჩოს მიერ შესაბამისი ვალდებულებების აღების შემთხვევაში.

“ისინი შეძლებენ დაბრუნებას, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს გამოძიებას და მილიციელები სასამართლო პროცესზე უნდა გამოცხადდნენ”, განაცხადა უშიშროების მინისტრმა.

დაკავებულები აცხადებენ, რომ არ იცოდნენ სავიზო რეჟიმის არსებობის შესახებ და პანკისის ხეობაში ცხინვალის გავლით ჩავიდნენ ავტომანქანის შესაძენად. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, ტრადიციონალისტთა კავშირისა და პარტია “გაერთიანებული დემოკრატების” თანამშრომლობა მიზნად ისახავს ერთობლივ ბრძოლას წინასაარჩევნო მარათონში და არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში მათ ახალი პოლიტიკური გაერთიანება შექმნან, თუმცა ამ კოალიციას სერიოზული პერსპექტივა არ ექნება.

როგორც შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, საქართველოს უკანასკნელი წლების გამოცდილება ადასტურებს, რომ ალიანსების, კოალიციებისა თუ სხვა სახის პოლიტიკური გაერთიანებების შექმნას დადებითი შედეგი არ მოუტანია და ზოგჯერ მათ არსებობას უარყოფითი პროცესებიც მოჰყოლია.

რაც შეეხება ლეიბორისტულ პარტიას, შალვა ნათელაშვილმა აღნიშნა, რომ იგი 7 წლის განმავლობაში დამოუკიდებელი იყო, საკუთარ პოლიტიკურ კურსს ანხორციელებდა და არც მომავალში აპირებს რაიმე კოალიციაში შესვლას.

ლეიბორისტულმა პარტიამ 2 ივნისს გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თბილისის საკრებულოს არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მიიღო და პირველი ადგილზე გავიდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ახალქალაქი.** ყოფილ საბჭოთა სამხედრო ობიექტების ტერიტორიებზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში აღმოჩენილია რადიაციის რამდენიმე წყარო, - განაცხადა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ნინო ჩხობაძემ.

ეს წყაროები რამდენიმე დღის წინ რეგიონში რადიაციული ფონის შემსწავლელმა, ქართველი სპეციალისტების ქვეითმა ექსპედიციამ აღმოაჩინა და ისინი რაიმე სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენენ, თქვა მინისტრმა, თუმცა მან არ დააზუსტა მათი ზუსტი ადგილმდებარეობა.

ნინო ჩხობაძის ინფორმაციით, რადიაციის წყაროები აღმოჩენილია ახალქალაქში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზეც.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის გამოკვლევის შემდეგ, ექსპედიცია მუშაობას აჭარაში გააგრძელებს, ხოლო შემდეგ პანკისის ხეობაში, - აღნიშნა მან.

მისივე თქმით, სპეციალისტები პანკისში რადიაციული წყაროების არსებობას არ გამორიცხავენ, ამიტომ საჭიროა ამ რეგიონის დეტალური შესწავლა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კომპანია „ეი-ი-ეს თელასში“ მიმდინარეობს თანამშრომელთა ატესტაცია, რომლის მიზანია თანამშრომელთა პროფესიონალიზმის დონის ამაღლება. ატესტაცია კომპანიაში სისტემატურად ჩატარდება, განაცხადა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბარენმა.

"ატესტაციაგავლილთა ზუსტი რაოდენობის დასახელება მიჭირს, თუმცა, გამოვლენილი პროფესიონალიზმის მაღალი დონე სასიამოვნო სიურპრიზი იყო", - აცხადებს ირიბარენი.

რაც შეეხება სამსახურიდან დათხოვნილთა კომპენსაციებს, როგორც „მედიანიუსს“ კომპანიაში აცნობეს, ხელშეკრულების დასრულების შემდეგ მათ ეძლევათ ორი თვის ხელფასის ოდენობის კომპენსაცია. თუ სამსახურიდან გათავისუფლებულები უახლოეს ხანებში დასაქმებას ვერ შეძლებენ, ისინი დამატებით ერთი თვის თანხას მიიღებენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მომავალი წლიდან საქართველოში სამონადირო მეურნეობები ამოქმედდება. როგორც საქართველოს მონადირეთა კავშირის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ დავით ბოკუჩავამ აღნიშნა, ამ პროექტზე მონადირეთა კავშირი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად 9 თვის განმავლობაში მუშაობდა. ამჟამად საქართველოში ნადირობა დაშვებულია მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზე, ძირითადად - მწყერზე. სამონადირო მეურნეობების ამოქმედებით მსხვილ გარეულ ცხოველებზე, ძირითადად კი, გარეულ ღორზე ნადირობა გახდება შესაძლებელი.

"გარეულ ღორზე ნადირობის ნებართვა ძვირი იქნება, რაც ნადირობის ამ სახეობას უკვე ელიტარულს გახდის", - თქვა ბოკუჩავამ. სამონადირო მეურნეობებს 25 წლით გენერალური ლიცენზია გადაეცემა.

მეურნეობები, სადაც გარეულ ცხოველებს მოაშენებენ, ამოქმედდება დედოფლისწყაროს, ყვარლის, აბაშის, კასპის, ბოლნისის რაიონებში. შეიქმნება სულ 10-11 მეურნეობა. დავით ბოკუჩავას თქმით, ამისთვის ინვესტიციებია საჭირო, რადგან სამონადირო მეურნეობის ჩამოყალიბებას 20-30 ათასი ლარი სჭირდება. მისივე ინფორმაციით, მონადირეთა კავშირის ფინანსურად შეძლებული წევრები და ბიზნესმენები მზად არიან დააფინანსონ ეს პროექტი.

მონადირეთა კავშირში ამჟამად 44 ათასი წევრია. ისინი ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გუშინ ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრის მთავარი თემა ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში №310 საგუშაგოს გაუქმების საკითხი იქნება.

ეს საგუშაგო, როგორც ცნობილია, განლაგებულია ადგილობრივი მკვიდრის, ვინმე გორგოშიას თხილის ბაღში. გორგოშია თავისი ტერიტორიის გათავისუფლებას ითხოვს. როგორც კონფლიქტის ზონაში ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაურმა, პოლკოვნიკმა კლიმენტი თევზაძემ განაცხადა, ჯერჯერობით არ არის გადაწყვეტილი, ამ საგუშაგოს გადაიტანენ თუ საერთოდ გააუქმებენ. საქართველოს მხარე შეხვედრაზე საგუშაგოს გაუქმებას მოითხოვს; ერთ-ერთი ინფორმაციით, მის გაუქმებას კონფლიქტის ზონაში მოქმედი დსთ-ს სამშვიდობო ძალთა კონტინგენტიც ემხრობა, თუმცა ოფიციალური პოზიცია რუსი სამშვიდობოების მოსკოვის ოფისის პასუხზეა დამოკიდებული. თევზაძის თქმით, მოსკოვიდან მიღებული ნებისმიერი პასუხი ქართული სამშვიდობო ძალების სარდლობასთან უნდა იყოს შეთანხმებული.

რაც შეეხება კოდორის ხეობაში რუსეთის სამშვიდობო ძალების სტაციონალური (მუდმივმოქმედი) საგუშაგოს გახსნას, ამაზე ჭუბურხინჯის შეხვედრაზე არ იმსჯელებენ. ეს საკითხი 10 დღის წინათ კოდორის ხეობაში სიტუაციის დაძაბვისას, სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძისა და სეპარატისტული აფხაზეთის პრემიერის ანრი ჯერგენიას შეხვედრის დროს დადგა. საკითხი სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში, ჯორბენაძე - ჯერგენიას შესაძლო შეხვედრისას გადაწყდება.

საქართველოს მხარე კოდორის ხეობაში მხოლოდ გაეროს მისიის სტაციონალური სამუშაგოს გახსნას დათანხმდება. **მედია-ნიუსი**

# პროვოკაციის მცდელობა სამშვიდობო მანდატით

პირველი გვერდიდან

ავტომატებით, ტყვიამფრქვევებითა და ყუმბართმტყორცნებით შეიარაღებული სამშვიდობოები ქსნის ხეობას დაკარგული ზურაბ დურგლიშვილის მოძებნის საბაბით ეწვივნენ. ყოველ შემთხვევაში, არაკონფლიქტურ ტერიტორიაზე სამშვიდობოების “დიდ გასეირნებას” ასე ხსნიდა რუსი გენერალი.

**“სამშვიდობო მანდატი გვაძლევს უფლებას, ვებრძოლოთ ბანდიტურ დაჯგუფებებს. დურგლიშვილის გამტაცებელთა შესახებ შტაბში ოპერატიული ინფორმაცია მოგვაწოდეს. ამიტომ ეს ოპერაცია ჯერ კონფლიქტის ზონაში დავიწყეთ და შემდეგ ბანდიტების კვალს ახალგორის ტერიტორიამდე გამოვყევით. მართალია, თავად ყაჩაღებს ვერ მივაგენით, მაგრამ მთებში ვნახეთ ის ადგილები, სადაც ბანდიტური ჯგუფის წევრები იმყოფებოდნენ. ჩვენი ამ ტერიტორიაზე ყოფნა პროვოკაციას არ უკავშირდება. ოპერაციამ, უბრალოდ, უშედეგოდ ჩაიარა და მთელი შემადგენლობით უკან, ცხინვალში ვბრუნდებით”,** - განაცხადა ჩვენთან საუბარში პრიზემლინმა, რომელიც აღიარებს, რომ მათი ვიზიტის შესახებ ქართულმა მხარემ არაფერი იცოდა. იგი დაუკითხავად სტუმრობას სატელეფონო კავშირის არარსებობით ხსნის.

მეთაურისგან განსხვავებით, რიგითი ჯარისკაცები არ მალავდნენ, რომ ისინი სასწავლო პროგრამით ჩამოიყვანეს - ავარჯიშეს და სანგრებიც ათხრევინეს.

შეიარაღებული “სტუმრების” დილის ცხრა საათზე დაწყებული ვიზიტის შესახებ მცხეთა-მთიანეთის რაიონის ხელმძღვანელობამ ნახევარი საათის შემდეგ გაიგო. ვერ გეტყვით, რამდენად უმნიშვნელოა საქართველოს ხელისუფლებისთვის ჯერ კიდევ მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარების შემოსვლა, თუნდაც ისინი სამშვიდობო მუნდირით იყვნენ შემოსილნი, მაგრამ ფაქტია, გუშინ დედაქალაქიდან ქსნის ხეობას არავინ სწვევია.



*გენერალი პრიზემლინი საკუთარ უფლებამოსილებას თვითონ განსაზღვრავს.*

რუს გენერალთან პირისპირ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი არმაზ შამანაური აღმოჩნდა. იგი თბილისიდან მითითებებს მობილური ტელეფონით იღებდა. რამდენიმესაათიანი არცთუ სასიამოვნო საუბრის შემდეგ, დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე, სამშვიდობოებმა რაიონის ტერიტორია სწორედ იმ გზით დატოვეს, საიდანაც მოვიდნენ.

**“არა გვგონია, რომ შეიარაღებული ჯარი დურგლიშვილის გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. ჩვენი აზრით, ეს იყო დიდი ხნის წინ დაგეგმილი სპეცოპერაცია. რუს და ოს სამშვიდობოებს ახალგორის რაიონის სტრატეგიული ობიექტების დაზვერვა ჰქონდათ მიზნად დასახული და ეს მოახერხეს კიდეც,”** - აღნიშნა შამანაურმა.

თავის დროზე ქართველი ვიცე-პოლკოვნიკის გატაცებამ საქართველოში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. რა შეფასება მიეცემა, ქართული მხარის დაუკითხავად, შერეული სამშვიდობო ძალებისა და ოსური სპეცრაზმის იმ ტერიტორიაზე შესვლას, სადაც მათი უფლებამოსილება არ ვრცელდება, მომავალი გვიჩვენებს. გუშინდელი ფაქტი კი, დურგლიშვილის გაუჩინარებასთან დაკავშირებით, დღესვე ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. ჯერ ერთი, ოსების კონტროლირებად ტერიტორიაზე მაინცადამაინც პრეზიდენტ კოკოითის დაცვის უფროსის ახლო ნათესავი რატომ გაიტაცეს? მეორეც, გამტაცებლები რუსული აქცენტით, დურგლიშვილის ახლობლების ნაცვლად, სამშვიდობოებს დაუკავშირდნენ და იმის მერე კონტაქტზე აღარ გამოსულან. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გატაცებით აღშფოთებული რუსი სამშვიდობოები ქართველ კოლეგას ჯერ უაღრესად დადებით პიროვნებად ახასიათებენ, ცოტა ხანში კი დურგლიშვილი კრიმინალებთან ალიანსში დაადანაშაულეს. საბოლოოდ, ვითომდა გატაცებული დურგლიშვილის ძებნის მოტივით, ქართული სოფლები დაზაფრეს.

და ბოლოს: შეიქმნა ძალზე სახიფათო პრეცედენტი - რუსმა სამხედროებმა და ოსურმა სპეცრაზმმა გადმოლახეს სამშვიდობო ზონა და, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, ქართულ სოფლებში პოზიციების გამაგრება დაიწყეს. გავიხსენოთ, რომ სწორედ ასეთი პრეცედენტებით "შეგვაჩვიეს" დაბომბვებსა და ზუგდიდში სამშვიდობოების თავნებობას. ამდენად, სრულიად უეჭველია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უმკაცრესი შეფასება უნდა მისცეს მომხდარ ფაქტს და, სულ ცოტა, გენერალ პრიზემლინის გაწვევა მაინც მოითხოვოს.

# ეროვნული უშიშროების კონცეფცია პარლამენტს გვერდს აუვლის

გიორგი ასანიშვილი

*ეროვნული უშიშროების კონცეფციაზე რამდენიმეწლიანი მუშაობა დასკვნით ფაზაში შევიდა. დოკუმენტი, რომლის შექმნაშიც, ეროვნული უშიშროების საბჭოსთან ერთად, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობდნენ, ხელმოსაწერად შემოდგომაზე წარედგინება საქართველოს პრეზიდენტს.*

იმ ფაქტს, რომ ამ ერთობ მნიშვნელოვანი დოკუმენტის დამტკიცების პროცესში საკანონმდებლო ორგანო მთლიანად იგნორირებულია, სააგენტო "ინტერ-პრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში ეროვნული უშიშროების საბჭოს საინფორმაციო ანალიტიკური სამსახურის უფროსის მოადგილე ჯიმი ჯალიაშვილი ასე ხსნის: **"ქვეყნის უშიშროების კონცეფცია საკანონმდებლო აქტი არ არის და მისი დამტკიცება პარლამენტს არ ევალება".**

ამ განმარტებას თავად მისივე ავტორი აყენებს ეჭვის ქვეშ, როდესაც აცხადებს, რომ **"ეს დოკუმენტი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის სტრატეგიისა და პრიორიტეტების განმსაზღვრელი იქნება."** არადა, საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლში გარკვევით წერია, რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს სწორედ პარლამენტი განსაზღვრავს!

ფრაქცია "დემოკრატების" თავმჯდომარე, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე აცხადებს, რომ **"თუ კონსტიტუციის სულისკვეთებას ბოლომდე გავყვებით, მაშინ ეს დოკუმენტი პარლამენტმა უნდა მიიღოს".**

**"თავდაპირველად ასეც იყო გათვალისწინებული, მაგრამ შემდეგ რატომღაც გადაიფიქრეს. როდესაც საშუალება ეძლევათ, პარლამენტი რაღაც მნიშვნელოვანი პროცესებიდან გამოთიშონ, პრეზიდენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება ამას ყოველთვის აკეთებენ",** - დასძენს ბარამიძე. თუმცა, პარლამენტარი მაინც არ ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში პარლამენტის "უფლებები შეილახა".

**"აქ ცოტა რთული სიტუაციაა და იურიდიულად შედავება მაინც ძნელია. მით უმეტეს, იურისტები ქოთანს (ამ შემთხვევაში, კანონს), საითაც უნდათ, ყურს იქით შეაბამენ",** - მიიჩნევს ფრაქციის თავმჯდომარე.

რაც შეეხება თავად ეროვნული უშიშროების კონცეფციას, ბარამიძის თქმით, მისი პირველი ვარიანტი, საკანონმდებლო ორგანოში განსახილველად, ნუგზარ საჯაიას მიერ იყო წარმოდგენილი. მოგვიანებით, 150-მდე შენიშვნა უშიშროების საბჭოშივე გადაიგზავნა და ბოლოსწინა ვარიანტში ყველა მათგანი გაზიარებულ იქნა. რა სახისაა დღეს დოკუმენტი, ამაზე ბარამიძე ვერაფერს ამბობს, რადგან ბოლო ვარიანტი მას არ უნახავს.

საპარლამენტო კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს პრეზიდენტის სახელზე რამდენიმე წერილი აქვს გაგზავნილი, რომელშიც ის ითხოვს, დაჩქარდეს ეროვნული უშიშროების კონცეფციის მიღება, რადგან სამხედრო სფეროში სერიოზული რეფორმების ჩატარება, მის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია. თუმცა, საკითხს ბარამიძე დღეს ცოტა სხვაგვარად უყურებს: **"ეროვნული უშიშროების კონცეფცია რა ჯანდაბად გვინდა, თუ ხელისუფლებამ საქმით სხვა რამ აკეთა. კონცეფციაში ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები წერია, ხოლო როდესაც საქმე საქმეზე მიდგება ხოლმე, სტრატეგიული ობიექტები ჩვენს მოწინააღმდეგე, აგრესორ სახელმწიფოს ეძლევა".**

# ცესკო-მ ჭერჭერობით მხოლოდ 102 ტომარა გახსნა

თამარ მჭედლიშვილი

***ცენტრალური საარჩევნო კომისია ხმების გადათვლას განაგრძობს. თუმცა, დღემდე წინასწარი მონაცემები, ოფიციალურად, უცნობია. ჟურნალისტები ინფორმაციას მხოლოდ პარტიებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლებისაგან იგებენ.***

ცესკო-ს დუმილი მის მიერვე მიღებული ინსტრუქციით არის ნებადართული. წესით, ყველა უბნის მონაცემის გადათვლის შემდეგ, სადავო საკითხები სხდომაზე განსახილველად უნდა გაიტანონ, გადათვლის შედეგების გამოქვეყნება კი მხოლოდ კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გახდება შესაძლებელი. აქვე, ცესკო-ს წევრები აცხადებენ, რომ ისინი ფარულად არაფერს აკეთებენ, პროცესი საჯაროა და მასზე დაკვირვებას არავის უშლიან.

ამის მიუხედავად, “გვერდიდან” საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, რამდენად სწორად მიმდინარეობს გადათვლის პროცესი და ხომ არ ხდება პარტიათა შორის გარიგებები. საგულისხმოა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია “სამართლიანი არჩევნების” წარმომადგენლები, რომლებიც გადათვლის პროცესს აქტიურად ადევნებენ თვალს, აცხადებენ, რომ მათ უჭირთ გადამთვლელთაგან რაიმე კონკრეტული ინფორმაციის მიღება.



*კომისია თვლას აგრძელებს*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

“სამართლიან არჩევნებთან” ერთად, ცესკო-ს საქმიანობას დიდი გულმოდგინებით აკვირდებიან “ლეიბორისტებიც”. როგორც “24 საათს” პარტიის წარმომადგენლებმა განუცხადეს, ჯერჯერობით, გახსნილია 102 ტომარა. აღმოჩენილი დარღვევები კი საკმაოდ სერიოზულია. პირველ რიგში, ბევრ ტომარაში არ არის ამომრჩეველთა სიები. რაც შეეხება თავად პარტიების მონაცემებს: “ლეიბორისტთა” მტკიცებით, სხვადასხვა უბანზე პარტიებს მიწერილი აქვთ მინიმუმ 100-200 ხმა. ასე მაგალითად, საბურთალოს ერთ-ერთი უბნის მონაცემების თანახმად, “აღორძინებამ” 219 ხმა მოიპოვა. გადათვლის შედეგად კი აღმოჩნდა, რომ პარტიას მხოლოდ 19-მა ამომრჩეველმა მისცა ხმა. ერთ-ერთ უბანზე კომისიის წევრებს ანალოგიური “სიკეთე” გამოუჩენიათ ეროვნულ-დემოკრატების მიმართ. საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა ერთ-ერთი ტომრის შიგთავსი — მასში ერთდროულად 12 საუბნო კომისიის არასრული მონაცემები იყო მოთავსებული.

თავად “ლეიბორისტები” აცხადებენ, რომ გადათვლის პროცესის დროს, ჯერჯერობით, ხმები არ მოჰკლებიათ, პირიქით — ემატებათ კიდეც. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს მხოლოდ არაოფიციალური ცნობაა და მისი სისწორე არჩევნების შემაჯამებელი ოქმის მიღების შემდეგ დადასტურდება. ეს კი, არავინ უწყის, როდის მოხდება.

## საზოგადოება

# სამი უბედური შემთხვევა "მადნეულში"

მაია მოსიაშვილი

სააქციო საზოგადოება "მადნეულის" ტერიტორიაზე ორი დღის განმავლობაში სამი უბედური შემთხვევა მოხდა, რომელთა შედეგად სამი ადამიანი გარდაიცვალა. შრომის ინსპექციის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ელგუჯა მღებრიშვილი, რომელიც ქვემო ქართლს კურირებს, აცხადებს, რომ ბრალი სამივე შემთხვევაში დამკვეთს მიუძღვის, ორში - ნაწილობრივად, ხოლო მესამე შემთხვევაში - მთლიანად.

პირველი შემთხვევა 14 აგვისტოს დილის ათის ნახევარზე მოხდა. 46 წლის რუსთაველი რათხან მურადოვი ხიდური ამწეების სავალი ნაწილების სარევიზიო ბრიგადას ხელმძღვანელობდა. ხელშეკრულების მოხედვით, მისი სამუშაო დილის ათ საათზე იწყებოდა. ათის ნახევარზე მას შეატყობინეს, რომ ერთ-ერთ საამქროში ამწის სავალი ნაწილი იყო დაზიანებული. შემოწმების დროს მურადოვმა წონასწორობა დაკარგა და თავის შესამაგრებლად მაღალი ძაბვის სადენს ხელით შეეხო, რამაც მისი დაღუპვა გამოიწვია.

მეორე შემთხვევა იმავე დღეს და იმავე საათზე შპს "კვარციტის" ტერიტორიაზე მოხდა. ბულდოზერისტი ფირან ასლანიშვილი სინჯებს იღებდა. ადგილი, სადაც ბულდოზერი იმყოფებოდა, 6-7 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ბულდოზერმა დაარღვია ზონა, სადაც მას უნდა ემოძრავა, მიწა ჩამოიშალა და 45-ტონიანი მანქანა 180 გრადუსით გადაბრუნდა. ასლანიშვილი კაბინაში გაიჭყლიტა.

მესამე შემთხვევა სააქციო საზოგადოება "მადნეულის" კარიერზე მოხდა. იქ კანადელები დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებენ. 23 წლის გიორგი სულთანიშვილი ღამის ცვლაში მუშაობდა. **"სამუშაო ადგილი კუსტარულად დამზადებული გამნათებლით იყო განათებული,** - აცხადებს ელგუჯა მღებრიშვილი, - **წესით ასეთი გამნათებელი 40-ვოლტიანი უნდა იყოს, კანადელებს კი ის დიზელ-გენერატორზე 110 ვოლტზე ჰქონდათ დამონტაჟებული. ამას ემატება ის კუსტარულად დამზადებული ბოძი, რომელზეც მაღალი ძაბვის პროჟექტორი იყო დამონტაჟებული. იმ ღამეს წვიმდა. უბედურ შემთხვევამდე ოცი წუთით ადრე ბიჭებმა ხელი დაიბანეს და ერთ-ერთმა მათგანმა თქვა, დენმა დამარტყაო. ეს ბრიგადის კანადელ ზედამხედველს მისმა თარჯიმანმა მაშინვე უთხრა, მან კი - "ნოუ პრობლემო" და მუშაობის გაგრძელება ბრძანა. წვიმა გაძლიერდა და დენი ჩაქრა. სულთანიშვილმა შუქის ანთების მიზნით ბოძი ორივე ხელით შეაჯანჯღარა, მოხვდა ძაბვის ქვეშ და დაიღუპა."**

მისივე თქმით, "მადნეულში" მომუშავე დაქირავებული მუშები აცხადებენ, რომ აუტანელ და მონურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი) , ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი), დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი), დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიტო შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია.ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჭაოშვილი.

# პრეზიდენტთან ჯენტლმენური შეთანხმებით, მოლაშვილი სააკაშვილს უტევს

**პირველი გვერდიდან**

სამაგიეროდ, განხილვაზე კიდევ ერთხელ გახმაურდა უკვე ყბადაღებული "ინვალიდთა საქმის" არსებობა და ინვალიდთა სახსრების დატაცების შესახებ ინფორმაცია. ამ კონტექსტში სხდომაზე დაასახელა დღევანდელი "ნაციონალის", საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის კოტე კემულარიას პერსონა.

სხვათა შორის, ეს თემაც უკვე კარგა ხანია, გათელილია და მის საფუძველზე პოლიტიკური შერკინების გამართვის მცდელობა ხელისუფლების მხრიდან აქამდეც ყოფილა, თუმცა, უშედეგოდ.

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ კვლავ საგანგებოდ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ეჭვები არსებობს და პროკურატურას ამ საქმის ბოლომდე მიყვანა კიდევ ერთხელ დაავალა.

**"ბოლოს და ბოლოს, უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც დასასჯელია... უნდა იცოდეს ხალხმა, ინვალიდებმა, ვინ მიიტაცა მათი ფული..."** - ხაზი გაუსვა საქართველოს პრეზიდენტმა და, სავარაუდოდ, საგამოძიებო ორგანოებსაც გარკვეული მიმართულება მისცა.

ინვალიდთა თემის განხილვას მოჰყვა პრეზიდენტის ზემოთ მოხსენიებული განმარტება მოლაშვილის გამოსვლის მიზანშეწონილებასთან დაკავშირებით და თავად გამოსვლა, რომელიც სკანდალურად მოინათლა.

თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს და, სულხან მოლაშვილს დღემდე უცნობი ფაქტები არ გაუხმაურებია. მან გუშინ უკვე კარგად ცნობილი ბრალდებები, კონტროლის პალატის სხვადასხვა დროინდელი შემოწმებების შედეგების გარკვეული ფრაგმენტები კიდევ ერთხელ წარმოადგინა.

მოლაშვილის განცხადებით, საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა გაზგამანაწილებელი კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტი რეალიზებულ იქნა 545 ათას დოლარად, მაშინ, როდესაც მათი ნომინალური ღირებულება სულ ცოტა 1 მილიონ დოლარს აღემატება.

კაპიკებად იქნა გაყიდული თბოცენტრალიც, რომლის მყიდველთანაც სახელმწიფომ კაბალური ხელშეკრულება გააფორმა.

ყველა ეს ობიექტი, სულხან მოლაშვილის განცხადებით, დღევანდელი პარლამენტარის, დავით ბეჟუაშვილის კომპანიების ხელში აღმოჩნდა.

**"არსებობს, საერთოდ, საქართველოს გაზის სექტორში თემა, რომელიც ბეჟუაშვილის გვართან არ არის დაკავშირებული?"** - იკითხა საქართველოს პრეზიდენტმა.



*სულხან მოლაშვილი*

**"ჩვენ ასეთი არ შეგვხვედრია,"** - განმარტა მოლაშვილმა (ჩანს, ქვეყნის მთავარ აუდიტორს "იტერასთან" დაკავშირებულ ბოლოდროინდელ გარიგებებთან, სადაც ბეჟუაშვილის გვარი აშკარად აღარ ფიგურირებს, ჯერჯერობით, შეხება არ ჰქონია).

**"რა ძალაუფლება აქვს ამ კაცს ასეთი? თუ ასეთი უძლეველია, მოიყვანეთ და დასვით პრეზიდენტად!.."** - რისხვა დააფრქვია ქვეყნის დღევანდელმა პრეზიდენტმა დამსწრე მთავრობას.

შეგახსენებთ, რომ ბეჟუაშვილი მთავრობას, უკვე კარგა ხანია, ჰყავდა შემჩნეული სააკაშვილთან მეგობრობაში. გუშინ სააკაშვილის მიერ ბეჟუაშვილის ლობირების ბრალდება, კიდევ ერთხელ ამოტივტივდა.

საინტერესო დეტალი: საქართველოს გაზგამანაწილებელი სექტორის განიავებით და სახელმწიფო ინტერესების აშკარა შელახვით შეშფოთებულმა კონტროლის პალატის თავმჯდომარემ, შემდგომ კი საქართველოს პრეზიდენტმაც, სახელმწიფო ქონების დატაცებაზე საუბრისას, რატომღაც, აქცენტი ამ ქონების მყიდველზე გააკეთეს და არა სახელმწიფო ქონების განმკარგველზე, თუნდაც, ქონების მართვის მაშინდელ მინისტრზე ან საპრივატიზაციო ხელშეკრულების სხვა ხელმომწერებზე, რომლებმაც ეს ქონება გაანიავეს და მართლაც კაპიკებად გაყიდეს.

კონტროლის პალატის თავმჯდომარის გუშინდელი გამოსვლის მორიგ სამიზნედ პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, დღევანდელი "დემოკრატი" ზურაბ ცქიტიშვილი იქცა.

მისი თქმით, პარლამენტარი ზურაბ ცქიტიშვილი დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ყოფნის დროს ასევე ლობირებდა “საქგაზს” და ენერგეტიკის ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას, სანაცვლოდ, ცქიტიშვილის მიერ დაფუძნებული სს “ამალთეა” წლების განმავლობაში შეღავათიანი ტარიფით იღებდა ელექტროენერგიას.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სააკაშვილზე, რომელმაც, მოლაშვილის თქმით, 2000-2001 წლებში იუსტიციის მინისტრის პოსტზე ყოფნისას, არამიზნობრივად დახარჯა 105 ათასი ლარი და ასევე 10 ათასი ლარი სხვადასხვა სამივლინებო მოგზაურობის დროს.

სულხან მოლაშვილმა გუშინ განაცხადა, რომ **"სააკაშვილი კორუფციაზე არაფერს ამბობდა, როცა კონტროლის პალატა საუბრობდა “ამალთეას” საქმიანობაზე, დავით ბეჟუაშვილზე და მიხეილ მაჭავარიანის საგადასახადო შემოსავლების მინისტრის პოსტზე ყოფნისას 8 მილიონი ყალბი ანგარიშფაქტურის თაობაზე".**

ამ ბრალდებებს კი კონტროლის პალატის თავმჯდომარემ მხატვრული შედარებები მოაყოლა:

**"ისინი ძალიან ჰგვანან ყაზბეგის აპრაკუნეს, რომელიც სისხლს სწოვდა მოხევეებს და გადამთიელთა ინტერესებს ემსახურებოდა. თუმცა, როცა მათ ჩიხში მოვაქცევ, კაროჟნას დაემსგავსებიან,"** - განაცხადა მან.

სხდომიდან გამოსულმა კონტროლის პალატის თავმჯდომარემ ასევე სცადა განემარტა, რომ მის გუშინდელ გამოსვლას არ ჰქონდა კავშირი სააკაშვილის მიერ მისი აგარაკის კორუფციული ფულით აშენების შესახებ გაკეთებულ განცხადებასთან, თუმცა, დასძინა: **"თუ სააკაშვილი დაამტკიცებს ბრალდებებს, მე წავალ თანამდებობიდან, თუ ვერა - ის წავიდეს პოლიტიკიდან".**

შეკითხვაზე, რატომ გახდა აუცილებელი ამ, უკვე ცნობილი ფაქტების შეხსენება მთავრობისა და ხელისუფლებისთვის მაინცადამაინც დღეს, კონტროლის პალატის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას ასეთი ნაბიჯისკენ საგამოძიებო ორგანოების მიერ გახმაურებული ფაქტების უგულებელყოფამ და რეაგირების არარსებობამ უბიძგა.

კონტროლის პალატის თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა საგანგებოდ მოიწონა ინიციატივა საინფორმაციო ბანკის, ფაქტობრივად, "შავი სიის" შედგენის შესახებ.

თავისთავად მართლაც საინტერესო ამ ინიციატივის თანახმად, საინფორმაციო ბანკში შეყვანილი უნდა იყოს ის ფირმები და ჩინოვნიკები, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულებებში იყვნენ შემჩნეული. ცხადია, რომ მათთან ურთიერთობა არარეკომენდირებულად იქნება მიჩნეული.

თუ პრეზიდენტის მიერ ამ ინიციატივის ხაზგასმის პერიოდს და მთავრობის სხდომაზე შექმნილ ფონს გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საინფორმაციო ბანკში, პირველ რიგში, "დემოკრატი" და "ნაციონალი" ექს-ჩინოვნიკები მოხვდებიან.

# დავითაშვილს მოლაშვილი ლამაზისეულს აგონებს



*კობა დავითაშვილი*

გუშინ კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრალდების საპასუხოდ, მიხეილ სააკაშვილის სახელით, პრესკონფერენცია კობა დავითაშვილმა გამართა და სულხან მოლაშვილის ბრალდებას ვრცელი კომენტარი გაუკეთა:

**“მიხეილ სააკაშვილმა, იუსტიციის მინისტრობის დროს, სპეცსახსრებიდან შემოსული თანხებით თანამშრომლების ხელფასი ოთხჯერ გაზარდა. ეს არის ის 100 ათასი ლარი, რომელსაც მას ბატონი კონტროლის პალატის თავმჯდომარე არამიზნობრივ ხარჯვაში უთვლის. სახელმწიფო აპარატმა რომ ნორმალურად იმუშაოს, დამატებითი შემოსავლები სწორედ ხელფასების გაზრდას უნდა მოხმარდეს, ამიტომ არ მესმის, საერთოდ რა ლოგიკაა, როცა სააკაშვილის წინააღმდეგ ძირითადი ბრალდება ამ თემას არ სცდება.**

**მე ძალიან კარგად მესმის სულხან მოლაშვილის გაღიზიანება, მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა წავკისში მისი აგარაკის შესახებ განცხადება გააკეთა. ბუნებრივია, რომ მას ამ ბრალდებაზე რეაქცია ჰქონდა. მაგრამ ეს ადეკვატური რეაქცია არ არის. ბატონმა მოლაშვილმა უნდა დაასაბუთოს, საიდან შეიძინა მან ეს ქონება, როცა თანამდებობაზე დანიშვნამდე ეს ქონება არ ჰქონია.**

**ასეთი ფაქტები კიდევ უფრო გვარწმუნებს, რომ კანონი დაუსაბუთებელი ქონების შესახებ უნდა არსებობდეს და ყველა ჩინოვნიკი ვალდებული უნდა იყოს, დაასაბუთოს თავისი ქონების წარმომავლობა. განსაკუთრებით იმ ქონებისა, რომლის მფლობელიც ის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ გახდა.**

**მთელი სცენა, რომელიც კანცელარიაში დაიდგა, ბატონ ბეჟუაშვილის საკითხს ეხებოდა. შეგახსენებთ, რომ ბრალდება, სააკაშვილისა და ბეჟუაშვილის კავშირის თაობაზე, არაერთხელ გამოითქვა კანცელარიაში. მინდა, გითხრათ, რა კავშირი არსებობს მათ შორის. ბეჟუაშვილის ძმა, თავდაცვის მინისტრის მოადგილე და მიხეილ სააკაშვილი კიევში ერთი წლის განმავლობაში ერთად სწავლობდნენ და თანაკურსელები იყვნენ. ამით მთავრდება ყველაფერი, რაც ბეჟუაშვილსა და სააკაშვილს აკავშირებთ. უნდა განვაცხადო, რომ ბეჟუაშვილის ფული არც ახლანდელ და არც წინა საარჩევნო კამპანიას არ მოხმარებია. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც ოპოზიციური მოძრაობა ჩამოვაყალიბეთ, არც ერთი ბიზნესმენი ახლოს არ გვეკარება. მათ ურჩევნიათ, ისეთი ორგანიზაციები დააფინანსონ, რომლებიც ხელისუფლებისაგან მხარდაჭერით სარგებლობენ, რათა საგადასახადო ან სხვა ათასი უბედურება არ დაატყდეთ თავს.**

**ძალიან მიხარია, რომ სულხან მოლაშვილს ქართული ლიტერატურა ასე კარგად ესმის. მაგრამ, ცოტა არ იყოს, ვერ გავიგე კაროჟნასთან შედარების აზრი. თუმცა, როცა ღრმა ანალიზი გავაკეთე, მივხვდი, რომ, ალბათ, ბატონი მოლაშვილი გათხოვებას პოლიტიკურ კარიერასთან აიგივებს.**

**მთავრობის სხდომაზე დღეს დადგმულმა სცენამ კი “კაცია ადამიანიდან” ერთი ლიტერატურული ეპიზოდი ნამდვილად გამახსენა, როცა ლუარსაბი, ძილის მოსაგვრელად, მოსამსახურე ლამაზისეულს, რომელიც მას ფეხებს ფხანს, ეუბნება, ცოტა მარჯვნივ, ცოტა მარჯვნივო. დაახლოებით, ასეთივე სცენა გათამაშდა კანცელარიაში: მოლაშვილმა იმდენჯერ მოფხანა პრეზიდენტს ბეჟუაშვილის ადგილი, რომ პრეზიდენტმა უთხრა, ეს ადგილი უკვე გადამექლითაო და აი, მაშინ გაახსენდა მოლაშვილს სააკაშვილი. და, თუ ვინმეს მაგონებს ბატონი მოლაშვილი, ეს სწორედ ლუარსაბ თათქარიძის მსახური ლამაზისეულია.”**

“24 საათი”

## კომენტარი

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარემ სულხან მოლაშვილმა ისაუბრა მაჟორიტარი დეპუტატის (თეთრი წყარო), დავით ბეჟუაშვილის საქართველოს გაზის სექტორში ბიზნეს-ინტერესებზე და მას ქვეყნის გაზგამანაწილებელი სფეროს მითვისებაში დასდო ბრალი. “24 საათი” დაუკავშირდა დავით ბეჟუაშვილს და ამ ბრალდებების კომენტარი სთხოვა.

**“მე სამი წლის წინ წამოვედი გაზის ბიზნესიდან, როდესაც გავყიდე ჩემი კომპანიის წილი ”საქგაზში”, რომელიც მე და ჩემმა მეგობრებმა წარმატებულ ბიზნეს-სუბიექტად ვაქციეთ. დღეს ჩვენი კომპანია “ინტერპაკი” ფლობს მხოლოდ “რუსთავცემენტს”. ეტყობა, საზოგადოებამ არ იცის, რომ “საქგაზი” წმინდა კერძო სამართლის სუბიექტია. ის არასდროს ყოფილა სახელმწიფო საწარმო. როდესაც 1998 წელს საქართველოში ჩამოვედი, ჩემი მეგობრების დაინტერესება, საკმაოდ სერიოზული კაპიტალის მოზიდვა და ქონების ყიდვა მოვახერხე ღია აუქციონზე, რომელიც გამართა საქართველოს ქონების მართვის სამინისტრომ. სწორედ სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი გაზის გამანაწილებელი კომპანიების გაყიდვაზე. ჩვენ ვიყიდეთ ის კომპანიები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ბიზნესისთვის იქნებოდა საინტერესო. ასე დაიწყო “საქგაზის” ისტორია, რომელსაც სახელის გადარქმევამდე “ინტერგაზი” ერქვა.**

**თუ ეს ვიღაცას არ მოეწონა, მისი პრობლემაა. რაში გვდებენ ბრალს? უკანონოდ ვიყიდეთ?**

**შეუძლებელია, ამ საქმესთან რომელიმე პოლიტიკური ფიგურა იყოს დაკავშირებული. მე გავიხსენებ მხოლოდ “თბილგაზის” პრივატიზების ფაქტს, რამდენიმე წლის წინათ, როდესაც იმავე მიხეილ სააკაშვილმა და სხვებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ მაშინ თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემა “იტერას” არ ეყიდა. არადა, მაშინ “იტერა” იხდიდა რვა მილიონ დოლარს, “საქგაზში” კი წილი ქართულ კომპანიას გააჩნდა. მოგვიანებით ჩვენ გავყიდეთ ჩვენი წილი “საქგაზში”. ახლა “იტერას” “თბილგაზს,” საერთოდ, ჩუქნიან.**

**ღია აუქციონებზე ჩვენ ექსი გაზგამანაწილებელი მეურნეობა (“ქუთაისიგაზი,” “გორიგაზი,” “კასპიგაზი,” “რუსთავიგაზი,” “ბოლნისიგაზი” და “თეთრიწყაროგაზი”) შევიძინეთ. მოგვიანებით კი, ჩვენი ბიზნესის გასავითარებლად, მოვიწვიეთ ძლიერი ინვესტორი “იტერას” სახით, რომელსაც “საქგაზის” აქციების 50 პროცენტი მივყიდეთ. უნდა აღვნიშნო, რომ, თუ საქმე “საქგაზის” მუშაობას ეხება, იქ ყველაფერი თავიდან ბოლომდე კანონიერადაა. დღეს ვერ იპოვნით ვერც ერთ საგადასახადო აქტს, რომლითაც “საქგაზს” ბიუჯეტის დავალიანება ექნება,** - აღნიშნა ბეჟუაშვილმა, - **ახლა “საქგაზისა” და “იტერას” ხსენება წამგებიანია და ამიტომ ახსენებენ ბეჟუაშვილსა და ოპოზიციური პარტიების ლიდერებს”.**

ბეჟუაშვილი ამჟამად თბილისში არ იმყოფება. იგი უახლოეს დღეებში სამშობლოში დაბრუნებასა და სულხან მოლაშვილის საპასუხოდ სკანდალური მასალების გახმაურებას აპირებს, რომლითაც, მისი თქმით, დადგინდება, რომელი სამთავრობო ჯგუფები მონაწილეობენ დღეს გაზის ბიზნესში.

“24 საათი”

## სამართალი

# ფრანგი ტიმონი ქარელში დაჭრეს

ფერიცვალების დღეს, ცოლისძმასთან ერთად ქეიფი საფრანგეთის მოქალაქეს, ქარელელების სიძეს - მიშელ ტიმონის ძვირად დაუჯდა.

ქეიფის შემდეგ ქუჩაში მხიარულად მიმავალ სიძე-ცოლისძმას ქარელელი კუთხაშვილი და ელბაქიძე შეხვდნენ. სიამტკბილობით დაწყებული მოულოდნელი შეხვედრა ცოტა ხანში შელაპარაკებასა და სერიოზულ ჩხუბში გადაიზარდა. ჩხუბის მიზეზი სიყვარული გახდა. ნასვამმა მოყვრებმა ელბაქიძე სცემეს, რადგან, თურმე, მას მიშელ ტიმონის ცოლისდა უყვარდა. თანაც, სიყვარულიც აუკრძალეს. როგორც გაირკვა, შემხვედრებმა ერთმანეთში მომხდარი ძველი ამბებიც გაარჩიეს და სიმართლეში ერთმანეთს შეეცილნენ. მომხდარით განრისხებული ელბაქიძე სახლში გაიქცა, გადაჭრილი სანადირო თოფი გამოიტანა და ქარელში ჩასიძებული, საფრანგეთის მოქალაქე, რომელიც უკვე სამი წელია, საქართველოში ცხოვრობს და ქარელელების ქება-დიდებას იმსახურებს, ფეხის არეში მძიმედ დაჭრა. ელბაქიძე გასროლისთანავე გაიქცა და მიიმალა. მის კვალს ქარელელმა სამართალდამცველებმა ჯერჯერობით ვერ მიაგნეს. სისხლის სამართლის საქმე კი, რომელიც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მუხლით არის აღძრული, მისთვის 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქარელით აღფრთოვანებული საფრანგეთის მოქალაქე, ქარელელების უსაყვარლესი, მძიმედ დაჭრილი სიძე კი საავადმყოფოში წევს და გამომძიებლებს მომხდარის შესახებ ჩვენებებს აძლევს.

# პოლიციელის მკვლელობისათვის ძმებს გაასამართლებენ

**პირველი გვერდიდან**

რამდენიმე საქმეში ბრალდებული ძმები პოლიციამ 2000 წლის ოქტომბერში დააკავა. ბინის ჩხრეკისას ამოიღეს “აკჟ”-ის ტიპის ავტომატი (რითიც მოკლულია თელიძე), 3 მჭიდითა და 90 ვაზნით, “ნაგანის” ტიპის რევოლვერი და 5 “ფ-1” ხელყუმბარა.

როგორც გამოძიებით დადგინდა, პოლიციელ თელიძეს ეჭვი ჰქონდა, რომ შოთაშვილები საქართველოს ბანკის მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე მთაწმინდის ფილიალის N 1 განყოფილების დაყაჩაღებაში მონაწილეობდნენ. ბანკიდან ბოროტმოქმედებმა 12 166 დოლარი და 4 377 ლარი გაიტაცეს. საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ღამის მორიგეობის დროს თელიძე კუკიის ტერიტორიაზე შემოვლას ატარებდა. სწორედ ამ დროს შემთხვევით შეხვდნენ შოთაშვილები და ბანკის დაყაჩაღებაზე დაიწყეს საუბარი. ძმები მიხვდნენ, რომ თელიძეს დანაშაულში მათ მონაწილეობაზე საფუძვლიანი ეჭვი ჰქონდა. პოლიციელის თავიდან მოცილების მიზნით, გივი შოთაშვილმა ქურთუკში დამალული ავტომატიდან თელიძეს ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა. თელიძის მკვლელობის შემდეგ კი ქალაქში გამოძიებისგან განსხვავებული ვერსია გავრცელდა. როგორც ამბობდნენ, გარდაცვლილმა პოლიციელმა იცოდა, რომ ბანკის დამყაჩაღებლები შოთაშვილები იყვნენ, მაგრამ თანხის გამოძალვის მიზნით იგი ძმებს კუკიის სასაფლაოზე პერიოდულად ხვდებოდა ხოლმეო.

თელიძის საქმის გამოძიების პროცესში შოთაშვილების მიერ ჩადენილი კიდევ ერთი დანაშაული გაიხსნა. 1999 წლის 28 ოქტომბერს თბილისში, ხრამჰესის ქუჩაზე მდებარე საფოსტო განყოფილების შესასვლელთან შეიარაღებული ბოროტმოქმედები თავს დაესხნენ ინკასატორ სულიკო ხეტეშვილს და, პენსიონერთა კუთვნილ 16 ათას ლართან ერთად, სამსახურებრივი “ნაგანის” ტიპის რევოლვერიც წაართვეს. სხვათა შორის, ეს ის რევოლვერია, რომელიც შოთაშვილების ბინიდან ამოიღეს.

როგორც გამომძიებელმა გია მათიაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, **“ძმები შოთაშვილები აღიარებენ პოლიციელ ლევან თელიძის მკვლელობას, მაგრამ გამოძიების მიერ წარდგენილ ბრალდებაში თავს ნაწილობრივ ცნობენ დამნაშავეებად”.**

არადა, თუ სასამართლომ ბოლომდე გაიზიარა გამოძიების მიერ წარდგენილი ბრალდება, გივი და მალხაზ შოთაშვილებს, შესაძლებელია, სამუდამო პატიმრობა დაემუქროთ. საბოლოო სიტყვა ახლა უკვე უზენაეს სასამართლოზეა.

# ციხეში კიდევ ერთი „ავტორიტეტი„ მოკლეს

კოლონიაში კიდევ ერთი ე.წ. “ავტორიტეტი” მოკლეს. 64 წლის გალელი ვახტანგ სექანიას გვამი დილით, დაახლოებით ხუთ საათზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N 1 დაწესებულებაში, საკუთარი საკნის გვერდით იპოვეს. მას ყელში თოკი ჰქონდა მოჭერილი, ხოლო თავში ბლაგვი საგნით მიყენებული ჭრილობა შეენიშნებოდა.

სექანია, რომელიც უკვე ორჯერ იყო ნასამართლევი, ამჯერად კონტრაბანდისა და იარაღის უკანონო ტარებისათვის იხდიდა სასჯელს. მას ექვსი წელი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ დეკემბერში ვადაზე ადრე უნდა გაეთავისუფლებინათ.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით თბილისის სასჯელთა აღსრულებისას კანონიერებაზე ზედამხედველობის პროკურატურაში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და დაიკითხა პატიმრები. როგორც პროკურორმა ზურაბ ჯორჯიკიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, “პატიმრები, როგორც წესი, ამტკიცებენ, რომ სექანიასთან თითოეულ მათგანს იდეალური ურთიერთობა ჰქონდა”. არადა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ციხეში ავტორიტეტად მონათლული სექანია გარშემო მყოფთ საკმაოდ ბევრ პრობლემას უქმნიდა. არაოფიციალურად ცნობილია ისიც, რომ მისი მკვლელობა გარედან საკმაოდ გავლენიანმა პიროვნებამ შეუკვეთა.

# გამუსულმანებული იაპონელი ორთაჭალის ციხეში შველას ალაჰს შესთხოვს

**ინგა ალავიძე**

ქართველი მესაზღვრეების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მათ შატილის ხეობაში - “ალაჰ, ალაჰ, ჯიხად, ჯიხადის” - ძახილით მომავალ იაპონელ ჯარისკაცს წააწყდნენ.

ახლა უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შატილში დაკავებული იაპონელის ვინაობას დიპლომატიური არხებით ადგენენ.

ქართველმა მესაზღვრეებმა იაპონელი რამდენიმე დღის წინ მუცოს ხეობიდან რვა კილომეტრის დაშორებით, საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარზე დააკავეს. დაკავებულმა განაცხადა, რომ ის იაპონიის შეიარაღებული ძალების გადამდგარი ოფიცერი მინამი ხიროშია.

ხიროშის ჩვენებით, იგი საფრანგეთის უცხოეთის ლეგიონში აპირებდა სამხედრო სამსახურის დაწყებას, რაც ვერ შესძლო. თუმცა, მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ რუსეთის ფედერალური ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩეჩენი ბოევიკები მეომრებს ქირაობდნენ, ჩეჩნებს დაუკავშირდა. იგი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩეჩნების მხარეს იბრძოდა და მუსულმანობასაც იქ ეზიარა.

იაპონელი მინამი ხიროში ქართველმა მესაზღვრეებმა “აკს”-ის სისტემის ავტომატით შეიარაღებულ ჩეჩენ მეგობართან, ბოევიკ საიდ ალი იტაევთან ერთად დააკავეს. ვაკე-საბურთალოს სასამართლომ დაკავებულებს სამთვიანი წინასწარი პატიმრობის განაჩენი გუშინ გამოუტანა.

გამუსულმანებული იაპონელის სამხედრო ექსკურსია თბილისის ორთაჭალის ციხეში დასრულდა, სადაც იგი ახლა ძირითადად მუსულმანური რიტუალების შესრულებითაა დაკავებული და ალაჰს თავისუფლების ბოძებას შესთხოვს.

უშიშროების სამინისტრომ იაპონელს საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდება წაუყენა, ხოლო ჩეჩენი ბოევიკი, გარდა საზღვრის უკანონო გადაკვეთისა, იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო ტარება-გადაზიდვაშიც დაადანაშაულა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო იაპონელი კოლეგებისგან დაკავებული იაპონელის ვინაობის შესახებ პასუხს, სავარაუდოდ, ერთ კვირაში მიიღებს.

# ბოიკოტი აზერბაიჯანის საკონსტიტუციო რეფერენდუმს

გიორგი ხელაშვილი

*აზერბაიჯანის ოპოზიციური ძალების მიერ საკონსტიტუციო რეფერენდუმის ბოიკოტი, ალბათ, არაეფექტური აღმოჩნდება. რეფერენდუმის შემდეგ ალიევის რეჟიმი ხელისუფლების განმტკიცებისა და პრეზიდენტის ძალაუფლების გადაცემის ახალ მექანიზმს მიიღებს.*

აზერბაიჯანის ოცდაათმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიამ და ორგანიზაციამ გუშინწინ მიიღო გადაწყვეტილება 24 აგვისტოს დანიშნული საკონსტიტუციო რეფერენდუმის ბოიკოტის თაობაზე. ეს გადაწყვეტილება ოპოზიციამ საპროტესტო დემონსტრაციით აღნიშნა, რომელშიც 1500 კაცმა მიიღო მონაწილეობა. უნდა ითქვას, რომ აქციის ორგანიზატორები ათი ათასამდე დემონსტრანტს მოელოდნენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და შედარებით მოკრძალებული აქციით დაკმაყოფილდნენ. საპროტესტო გამოსვლები აზერბაიჯანის ყველაზე გავლენიანმა ოპოზიციურმა ძალებმა – სახალხო ფრონტმა, დემოკრატიულმა პარტიამ და "მუსავატმა" მოაწყვეს.

24 აგვისტოს რეფერენდუმზე გატანილი საკონსტიტუციო ცვლილებები არჩევნების პროპორციული სისტემის გაუქმებას და მაჟორიტარული სისტემის გავრცობას, პრეზიდენტის ასარჩევად საჭირო ხმების ნაკლები რაოდენობის შემოღებას, პარტიების გაუქმების უფრო გამარტივებული პროცედურის დადგენასა და პრეზიდენტის ადგილმონაცვლედ, პარლამენტის სპიკერის ნაცვლად, პრემიერ-მინისტრის აღიარებას ითვალისწინებს.

აზერბაიჯანის ოპოზიცია მომავალ რეფერენდუმს ქვეყანაში დემოკრატიის დასამარებისაკენ გადადგმულ ნაბიჯად განიხილავს. ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ რეფერენდუმი პირდაპირ უკავშირდება მომავალი წლის ოქტომბერში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებს და ალიევის პოლიტიკური მემკვიდრეობის საკითხს. თუ ჰეიდარ ალიევის ინიციატივით ახლანდელ რეფერენდუმზე გატანილი 39 საკონსტიტუციო შესწორება ხალხმა მოიწონა, მაშინ აზერბაიჯანის ნახევრად ავტორიტარული მმართველი რეჟიმის კონსოლიდაცია საბოლოოდ დასრულდება, ოპოზიციის გავლენა პარლამენტზე კიდევ უფრო შესუსტდება და პრეზიდენტი ალიევი თავის მიერ არჩეული მემკვიდრისათვის ძალაუფლების გადაცემის პრობლემასაც გადაწყვეტს.

ოფიციალური წრეები ამდაგვარ განზრახვებს უარყოფენ და აცხადებენ, რომ რეფერენდუმი აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების განმტკიცებას და ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის დაჩქარებას ემსახურება.

ოპოზიცია მოითხოვს, რეფერენდუმი რამდენიმე კვირით გადაიდოს და ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა შეიცვალოს, იმის გამო, რომ იგი მმართველი პარტიის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული. შეერთებული შტატებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ოპოზიციის მოთხოვნებს მხარს უჭერენ, მაგრამ შედეგი მათმა ჩარევამაც ვერ გამოიღო. საინტერესოა, რომ, საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნით, რეფერენდუმის წინ გაიმართა პოლიტიკური მრგვალი მაგიდა ოფიციალური პირებისა და ოპოზიციის მონაწილეობით, რომელიც ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. აზერბაიჯანისთვის ამგვარი საჯაროობა საკმაოდ უცხო ხილია. უნდა ვივარაუდოთ, რომ აზერბაიჯანის მთავრობა იმდენადაა დარწმუნებული რეფერენდუმზე წარმატებაში, რომ ოპოზიციის აზრის სახალხოდ ჩვენებასაც კი აღარ ერიდება. მთავრობამ არჩევნებზე დამკვირვებლად უკვე დაუშვა 70 ათასამდე აზერბაიჯანელი და უცხოელი მეთვალყურე.

აზერბაიჯანში არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით ძნელია იმის თქმა, რომ დაქსაქსული ოპოზიციური ძალები შეძლებენ, გარდატეხა შეიტანონ რეფერენდუმის მსვლელობაში და თავიდან აიცილონ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აზერბაიჯანის მმართველ რეჟიმს უფრო გაეხსნება ხელ-ფეხი ქვეყნის შეუზღუდავი მმართველობისაკენ.

რა დასკვნები შეიძლება, გამოიტანონ საქართველოს პოლიტიკურმა ძალებმა აზერბაიჯანში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესებიდან?

ერთი მხრივ, ალიევის ძალაუფლების განმტკიცება საფუძველს გაუმყარებს ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების საერთაშორისო პროექტებს, რომლებიც ჩვენში რეგიონის სტაბილურობის საფუძვლად განიხილება. მოკლევადიან პერსპექტივაში აზერბაიჯანში არ ჩანს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც ქვეყნის სტაბილურობას საფრთხეს შეუქმნიდა.

მეორე მხრივ, აზერბაიჯანში ავტორიტარული რეჟიმის კონსოლიდაცია აუცილებლად გაამწვავებს სოციალურ ვითარებას და საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, შეიძლება, დესტაბილიზაციის საფუძვლადაც იქცეს. ამგვარი პერსპექტივის ნიშნები აზერბაიჯანში უკვე გამოჩნდა – ორი თვეა, არ ცხრება დაძაბულობა ბაქოს ჩრდილოეთით მდებარე დაბა ნარდარანში, სადაც სოციალური უკმაყოფილების ნიადაგზე მოსახლეობამ რადიკალური ისლამის ლოზუნგებს მიმართა.

მიუხედავად ამისა, რეგიონში არსებული დაძაბული ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აზერბაიჯანის მთავრობის კრიტიკა, დემოკრატიის შეზღუდვის გამო, დღეს არარეალური ჩანს. მით უმეტეს, რომ არც ამერიკელები იწუხებენ დიდად თავს აზერბაიჯანული დემოკრატიის უკან დახევით. საკუთარი მთავრობის არჩევა, ბოლოს და ბოლოს, აზერბაიჯანელების საქმეა.

# დენთის სუნი გაზის აფეთქების ვერსიას საეჭვოს ხდის

პირველი გვერდიდან

აფეთქების ხმა გაისმა. პირველი, რაც დავინახეთ და ვიგრძენით, მოპირდაპირე სახლიდან გამოვარდნილი მოყვითალო ფერის კვამლი და დენთის სუნი იყო.

აფეთქების მომენტში ჩამსხვრეული შუშები ტალღამ დაახლოებით ორასი მეტრის რადიუსზე მიმოფანტა. რამდენიმე გამვლელი სწორედ ამ ნამსხვრევებით დაიჭრა. როცა კვამლი გაიფანტა, დავინახეთ, რომ სახლს მთელი მარცხენა ფლიგელი ანუ ერთი სადარბაზო აკლდა. აფეთქების დროის სადარბაზოს გასწვრივ გაჩერებული რამდენიმე ავტომანქანა ტალღამ ამოაყირავა.

დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ჩამოშლილი სადარბაზოს წინ სრული ქაოსი ტრიალებდა. არ ჩანდა მილიცია, გვერდით სადარბაზოდან გამორბოდა დასისხლიანებული და ნანგრევებშემოცილი ხალხი. წვიმას ჯერ კიდევ არ გადაეღო და განსაკუთრებით საცოდავი სანახავი იყვნენ ნამძინარევი ბავშვები და მოხუცები. ტრაგედიის ადგილას პირველი მოვიდნენ აფეთქების ხმაზე ტელეცენტრიდან გამოქცეული ტელეოპერატორები და ჟურნალისტები, წამყვანი არხების გადამღები სპეცტექნიკით. რეპორტიორები, მილიციის მოსვლამდე, იწერდნენ თვითმხილველთა ჩვენებებს. ყველა შიშობდა, არ გაჩენილიყო ხანძარი, მაგრამ ცეცხლი არსად ჩანდა. დაახლოებით ორმოცი წუთის შემდეგ მოვიდა პირველი სასწრაფო და მილიციის მანქანა. ერთი საათის შემდეგ კი ადგილზე რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის თანამშრომლებიც გამოჩნდნენ, რომლებმაც უმალ ალკვეთეს ტელეოპერატორთა თავისუფალი გადაადგილება. სპეცსამსახურების სამოქალაქოტანსაცმლიანი წარმომადგენლები გადარჩენილ მცხოვრებლებს სპეციალურ მიკროავტობუსში ეპატიჟებოდნენ სახელდახელო დაკითხვაზე, მაგრამ მოსახლეობა შემთხვევის ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა - ზოგი ამბობდა, რომ შინ ფული, დოკუმენტები და შინაური ცხოველები დარჩათ. ტრაგედიიდან ორი საათის შემდეგ მოვიდა რუსეთის საგანგებო სიტუაციათა მინისტრი სერგეი შოიგუ, შემთხვევის ადგილას უკვე იდგა 30 სასწრაფო, "მოსგაზის" სპეცმანქანები, მოვიდნენ მოსკოვის შინაგან საქმეთა სამმართველოს წარმომადგენლებიც. მეხანძრეები და შოიგუს ხალხი პერიოდულად ხუთწუთიან დუმილს აცხადებდნენ, რის დროსაც ნანგრევებიდან მობილურების წკრიალი და დაჭრილების კვნესა ისმოდა. ჩვენს თვალწინ მეხანძრეებმა 15 საკაცე ჩაატარეს დაჭრილებითა და დამწვრებით. გადარჩენილი სადარბაზოს მცხოვრებლები მეხანძრეებს სთხოვდნენ მეოთხე სართულზე მცხოვრები ორი მცირეწლოვანი გოგონას გადარჩენას, რომელთა კვალსაც მაშველებმა ვერ მიაგნეს. მოგვიანებით აღმოაჩინეს ცარიელი, გაღუნული საბავშვო ეტლი. მშველელებმა ნანგრევებიდან ექვსი ადამიანის გვამი და სხეულის რამდენიმე ფრაგმენტი გამოიტანეს. ღამის პირველ საათზე კოროლიოვის ქუჩაზე ფედერალური უშიშროების სამსახურის შეფი ნიკოლოზ პატრუშევიც გამოჩნდა, ქალაქის ვიცე-მერ ვალერი შანცევთან ერთად. სერგეი შოიგუმ უმალ უკუაგდო ტერორისტული აქტის ვერსია. შოიგუს ირგვლივ შეკრებილი მოსახლეობა მინისტრს არ დაეთანხმა და შეუსწორა, რომ ჰაერში აფეთქების მომენტში და მას მერეც გაზის სუნი არავის უგრძვნია. ხელისუფლება ტრაგედიის ღამეს მაინც ვერ შეთანხმდა-რასთან ჰქონდა საქმე,საყოფაცხოვრებო გაზისა თუ ტერაქტის ვერსიასთან.ჰაერში ჯიუტად ტრიალებდა დენთის სუნი, და არა საყოფაცხოვრებო გაზისა. "მოსგაზის" წარმომადგენლის თქმით, ასეთი ტიპის სტალინურ სახლებში გაზგაყვანილობა ყველაზე საიმედოა და რემონტსაც ნაკლებად ითხოვს.



სამაშველო სამუშაოები მოსკოვში აფეთქებულ კორპუსში REUTERS

თვითმხილველების თქმით, აკადემიკოს კოროლიოვის ქუჩის 32-ე სახლში, მოსკოველებთან ერთად დედაქალაქში ჩამოსული რამდენიმე ბიზნესმენიც ცხოვრობდა. ისინი ამ სახლის წინ მდებარე ოსტანკინოს ბაზრობაზე ძირითადად ხილითა და ტექსტილით ვაჭრობდნენ. აფეთქებული სადარბაზოს გადარჩენილი მცხოვრებლების ნაამბობით, მეორე სართულზე, 22-ე ბინას კავკასიელები ქირაობდნენ, სავარაუდოდ, დაღესტნელები. ერთი კვირაა მდგმურები მეზობლებს აღარ უნახავთ - მას მერე, რაც ბინის პატრონს წაეჩხუბნენ და დაემუქრენ კიდეც. კავკასიური კვალის ვერსიამ რუსეთის ტელევიზიის სახელისუფლებო არხებზეც გაიჟღერა. სულ სადარბაზოში 166 კაცი ცხოვრობდა, გადაუმოწმებელი ინფორმაციით ექვსი ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე მძიმედ დაიჭრა. აფეთქების შემდეგ 20 კაცი დაკარგულად ითვლება. ხელისუფლება წამყვან ვერსიად საყოფაცხოვრებო გაზის აფეთქებას მიიჩნევს, თუმცა არ გამორიცხავს ასაფეთქებელი ნივთიერების ფაქტორსაც. სამართალდამცავი ორგანოების მტკიცებით, ნივთიერება მეორე სართულზე მდებარე ბინაში ინახებოდა, სადაც აფეთქების ეპიცენტრი იყო.

ზუსტად ერთი წლის წინათ, მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებამ ვლადიმირ პუტინის გაპრეზიდენტება და ჩეჩნეთის მეორე კამპანია მოიტანა. ძნელი მისახვედრი არ არის, როგორ შეიძლება გამოიყენონ მორიგი ტრაგედია რუსეთში და როგორ კუდს გამოაბმას ყოველივეს რუსეთის ოფიციალური პროპაგანდა.

# ჩინეთში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

ჩინეთის ცენტრალურ პროვინცია ხუნანში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ამ რაიონში მდებარე უზარმაზარმა დუნტინის ტბამ, შესაძლოა, ნაპირები გადმოლახოს და გარშემო ტერიტორიები დატბოროს. ტბის ფართობი ორი ათას ხუთას კვადრატულ კმ-ს აღემატება. მასში წყლის დონემ ორი მეტრით მოიმატა და კვლავ განაგრძობს მატებას. იმ შემთხვევაში, თუ დუნტინის ტბა ნაპირებს გადმოლახავს, გარშემო ტერიტორიებზე მოსახლე 10 მილიონი ადამიანი დაზარალდება და უსახლკაროდ დარჩება. ჩინეთის მთავრობა შიშობს, რომ ეს კატასტროფა ბევრი ადამიანის სიცოცხლესაც იმსხვერპლებს. ამ დროისათვის ათასობით მაშველი და სამხედრო მოსამსახურე ცდილობს ტბის ზღუდეებისა და ჯებირების გამაგრებას. ყველაზე სახიფათო ადგილებიდან მოსახლეობის ევაკუაციაც დაიწყო.

ხუნანის პროვინციაში ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა, რამაც ტბაში წყლის დონის ზრდა გამოიწვია. 20 აგვისტოს, დილით წყლის დონემ 33.9 მეტრს მიაღწია. ადგილობრივი ხელისუფლების თქმით, წყალი ტბაში ყოველდღიურად ორმოცდაათი სანტიმეტრით იმატებს.

1998 წელს მდინარე იანძისა და დუნტინის ტბის ადიდებამ 4000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში სამხრეთ ჩინეთის რაიონებში, თავსხმა წვიმების და მეწყერების გამო, 100-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. მთლიანად ჩინეთში წელს წყალდიდობამ და სტიქიამ 1000 კაცი იმსხვერპლა.

# ჯორჯ ბუშმა თავის რანჩოში საგანგებო თათბირი მოიწვია

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ტეხასში, თავის რანჩოში საგანგებო თათბირს გამართავს, რომელსაც დაესწრებიან ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი, თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი, პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისი და აშშ-ს შეიარაღებული ძალების შტაბების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი რიჩარდ მაიერსი. ვარაუდობენ, რომ თათბირზე განიხილავენ ერაყის წინააღმდეგ აშშ-ს მიერ შესაძლო სამხედრო ოპერაციის ჩატარებას, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხებსა და შეერთებული შტატების არმიის მოდერნიზების პრობლემას.

ერაყის საკითხთან დაკავშირებით ცნობილი გახდა კანადის ოფიციალური პოზიციაც. ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრის ჯონ მაკალუს განცხადებით, თუ არ დამტკიცდება ჰუსეინის მთავრობის მიერ მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებისა და აგრესიული გეგმების შემუშავების ფაქტები, კანადა ერაყის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობას არ მიიღებს.

## ეკონომიკა

# არაბებმა ამერიკიდან უკვე 200 მილიარდი დოლარი გაიტანეს

## ვაშინგტონი კიდევ ერთ მტერს იძენს

თორნიკე შარაშენიძე

აშშ-ს მიერ ანტიტერორისტული ოპერაციის წამოწყების შემდეგ საუდელმა ბიზნესმენებმა ათეულ მილიარდობით დოლარი გაიტანეს ამ ქვეყნიდან. როგორც "ფაინენშალ ტაიმსი" დამოუკიდებელი ექსპერტების მონაცემებზე დაყრდნობით იუწყება, გატანილი თანხა, შესაძლოა, 200 მილიარდს აღწევდეს და დოლარის ბოლოდროინდელ გაუფასურებაში, ალბათ, მისმა გადინებამაც ითამაშა სერიოზული როლი. სავარაუდოდ, ამერიკიდან გასული ფული ევროპულ ბანკებში გადაირიცხა.

საუდის არაბეთი გააღიზიანა არა მხოლოდ მუსლიმების წინააღმდეგ განხორციელებულმა სამხედრო ოპერაციებმა, არამედ არაბული ბანკების მიმართ მიღებულმა სანქციებმაც. ვაშინგტონმა უკიდურესად გაართულა არაბულ-ამერიკულ ბანკებს შორის ფინანსური ოპერაციები. გარდა ამისა, საუდეთში მოქმედ ყველა ბანკს, რომელსაც ამერიკული კორპორაციები აკონტროლებენ (ასეთები კი საკმაოდ ბევრია), აეკრძალათ საქველმოქმედო ანგარიშებზე ფულის გადარიცხვა - ვაშინგტონი ეჭვობს, რომ ამით მხოლოდ ტერორისტული ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი ფულის გათეთრება ხდება.

არაბი ბიზნესმენებისათვის ბოლო წვეთად 11 სექტემბერს დაღუპულ-დაზარალებულთა ოჯახების მიერ საუდეთის ბანკების მიმართ აღძრული სარჩელი იქცა. "ეს საბოლოო გარანტიაა იმისა, რომ აშშ არაბულ ფულს ვეღარ იხილავს", - ასე შეაფასა სარჩელი ერთ-ერთმა არაბმა ფინანსისტმა.

არაბ ბიზნესმენებს აშშ-ში, დაახლოებით, 750 მილიარდი დოლარი უნდა ჰქონდეთ დაბანდებული. ეს ასტრონომიული თანხაა, თუმცა, კიდევ უფრო ასტრონომიულია ის თანხა, რომელსაც 11 სექტემბერს დაზარალებული მოსარჩელეები (სულ 90011 ადამიანი) კომპენსაციის სახით ითხოვენ - ერთი ტრილიონი დოლარი. არაბული ბანკების საბედნიეროდ, მათ გარდა, მოსარჩელეებს პრეტენზია აქვთ სუდანის ხელისუფლებასთან, ზოგიერთ სხვა უცხოურ ბანკთან და რამდენიმე ცნობილ არაბ არისტოკრატთან. ამათგან ერთ-ერთი საუდეთის თავდაცვის მინისტრი გახლავთ.

მოსარჩელე ოჯახების ადვოკატი რონ მოტლი აცხადებს, რომ ერთი ტრილიონი დოლარი ჰაერიდან არ მოსულა და ყველაფერი საფუძვლიანადაა დაანგარიშებული, კერძოდ, თითო ოჯახს 30 მილიონი დოლარი ეკუთვნის, როგორც ასეთ შემთხვევებშია გათვალისწინებული. ეს თანხა ჯერ ოჯახების რაოდენობაზე, შემდეგ კი სამზე გამრავლდა, რადგან, ფედერალური კანონმდებლობის მიხედვით, კომპენსაცია უნდა გასამმაგდეს, თუკი საქმე ეხება ტერორისტულ აქტს.

11 სექტემბრის აქტში მონაწილე 19 ტერორისტთაგან 15 არაბი გახლდათ. თუმცა, საუდეთის ხელისუფლება არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს საკუთარ თავზე და აცხადებს, რომ მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა იმ შემზარავ მოვლენებთან.

დაზარალებულ ოჯახთა სარჩელში ნათქვამია, რომ არაბული ფული "წლების განმავლობაში აღვივებდა ანტიამერიკანიზმს და აფინანსებდა "ალ ქაიდას."

მოკლედ, სარჩელი აღძრულია. თუკი დაზარალებულებმა იმის მესამედი მაინც მიიღეს, რასაც ითხოვენ, მაშინ ბოლოდროინდელი დანაკარგი – 200 მილიარდი დოლარი, რომელიც არაბებმა აშშ-დან გაიტანეს არა მხოლოდ ანაზღაურებული, არამედ გადაფარულიც იქნება.

მაგრამ ყოველივე ეს, საბოლოო ჯამში, ათმაგად უფრო ძვირი დაუჯდება ვაშინგტონს, რადგან მისი ურთიერთობა საუდეთთან – ახლო პარტნიორთან და საიმედო დასაყრდენთან რეგიონში – დღითიდღე უარესდება და მის გამოსწორებას არანაირი პირი არ უჩანს. ამას მოწმობს საუდეთის ახლანდელი უარი, ნება დაერთო აშშ-სათვის გამოეყენებინა მისი ტერიტორია ერაყთან საომარი მოქმედებების დროს. აშშ კარგავს პარტნიორს, კარგავს ნავთობის წყაროს და იძენს კიდევ ერთ მტერს.

# "ეი-ი-ესი" "სიმენსის" წინააღმდეგ?

პირველი გვერდიდან

**"გერმანელები ითხოვენ, ჩამოყალიბდეს სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ "ეი-ი-ესის", "სიმენსისა" და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები",** - აღნიშნა მერაბ კვეკვესკირმა. ამ საკითხის თაობაზე იგი უკვე შეხვდა საქართველოში გერმანიის საელჩოს ერთ-ერთ წარმომადგენელს. **"როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, უახლოეს დღეებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ერთობლივი კომისიის შექმნის წინადადებით, ოფიციალურ ნოტას მიიღებს გერმანიის საგარეო უწყებისგან",** - აღნიშნა კვეკვესკირმა.

კომპანია "ეი-ი-ეს მტკვრისთვის", რომელსაც "თბილსრესის" მეცხრე და მეათე ბლოკი ეკუთვნის, ცნობა ერთობლივი კომისიის შექმნის შესახებ მოულოდნელი აღმოჩნდა. როგორც კომპანიის ლობისტმა ირაკლი მელაშვილმა აღნიშნა, **"ამ წინადადებით "ეი-ი-ესისთვის" გერმანიის მხარეს არ მიუმართავს, არადა, მეათე ბლოკი "ეი-ი-ესის" საკუთრებაა და მისი აფეთქების შედეგად ზარალიც მას მიადგა".**

"თბილსრესის" მეათე ენერგობლოკი 2001 წლის 22 დეკემბერს აფეთქდა. მიუხედავად იმისა, რომ ამით ზარალი კერძო კომპანიას მიადგა, საქართველოს პრეზიდენტის მითითებით, უშიშროების სამინისტროში სპეციალური კომისია ჩამოყალიბდა, რომლის მუშაობაშიც სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები ჩაერთნენ. საქმე ისაა, რომ აფეთქების შემდეგ გავრცელდა ვერსია, თითქოს მომხდარი ტერაქტის შედეგი იყო. როგორც უშიშროების მინისტრის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი აცხადებს, დღეს ამ ვერსიის არსებობის საფუძველი არ არსებობს.

ამდენად, აფეთქება ან "ეი-ი-ეს მტკვრის" თანამშრომელთა დაუდევრობის შედეგია, რასაც ამერიკული კომპანიის წარმომადგენლები არ ადასტურებენ, ან - ენერგობლოკის მართვის დაზიანებისა. ამ შემთხვევაში კი, "ეი-ი-ესს" შეუძლია, დანაშაული გერმანულ "სიმენსს" გადააბრალოს, რომელმაც რამდენიმე წლის წინ მეათე ბლოკის მართვის სისტემა დაამონტაჟა. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ინფორმაციით, "აფეთქების მიზეზთა დამდგენმა ჯგუფმა, რომელიც "ეი-ი-ესის" დაკვეთით მუშაობდა, მოამზადა დასკვნა, რომელშიც საუბარია მართვის ლოგიკის გაუმართაობაზე. მართვის ლოგიკური სქემა კი დამონტაჟებულია გერმანული კომპანია "სიმენსის" მიერ. დასკვნის მიხედვით, ავარია გამოწვეული იყო "სიმენსის" შეცდომით, რომელმაც ვერ უზრუნველყო მართვის ლოგიკის უსაფრთხოება და არ ჩაატარა სათანადო ტესტირება ექსპლუატაციაში გაშვების დროს".

# გაძვირებულ ტარიფს მოსახლეობა გადაიხდის

პირველი გვერდიდან

ცხრა მილიონი დოლარის დანიშნულებაზე უფრო დაწვრილებით სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მერაბ კვეკვესკირმა ისაუბრა. იგი აცხადებს, რომ ამ თანხით დაფინანსდება მოსახლეობის გათბობის პროგრამა, რომელიც ოქტომბრიდან მარტამდე გაგრძელდება. დახმარება გულისხმობს ელექტროენერგიის საფასურის გადახდას სოციალურად დაუცველი ფენების, ინვალიდების, მარტოხელა დედების, სულ, დაახლოებით, 180 000 ადამიანისათვის.

"ეი-ი-ეს თელასის" გენერალურმა დირექტორმა იგნასიო ირიბარენმა კი კატეგორიულად უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აშშ-ს ხელისუფლების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი ცხრა მილიონი დოლარი ელექტროენერგიის გაძვირებული ტარიფის კომპენსაციას მოხმარდება და ამ თანხით მოსახლეობის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა მოხდება. ირიბარენი მთლიანად გამორიცხავს ამგვარ პერსპექტივას და აცხადებს, რომ ტარიფის ბოლო ვარიანტში ასახულია ის ინვესტიციები, რაც ამერიკულმა კომპანია "ეი-ი-ესმა" 2002 წელს განახორციელა საქართველოში. ცხრა მილიონი დოლარის ბედი კი უკვე გადაწყვეტილია. აშშ-ს მთავრობასთან



იგნასიო ირიბარენი

წარმოებული მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა, თუ რა ფორმით მოხდება ამ თანხის საქართველოსთვის გადმორიცხვა. საქართველოს მთავრობა გრანტის სახით მიიღებს ცხრა მილიონ აშშ დოლარს, რაც საბიუჯეტო ორგანიზაციებში არსებული ელექტროენერგიის დავალიანებების დაფარვას მოხმარდება. მას შემდეგ, რაც "ეი-ი-ეს თელასი" მიიღებს თანხას, იგი მას გამრიცხველიანების პროცესის დასრულებას მოახმარს. იგნასიო ირიბარენი აცხადებს, რომ თუ საქართველოს მთავრობას სურს, მოსახლეობას გაძვირებული ტარიფის დაფარვაში დაეხმაროს და "თელასს" გარკვეული კომპენსაცია მისცეს, ის წინააღმდეგი არ იქნება. თუმცა, იგი ძალზე სკეპტიკურადაა განწყობილი ამ საკითხისადმი და მიუთითებს, რომ "ეი-ი-ესი" მხოლოდ რეალურ კომპენსაციაზე დათანხმდება და არა ფიქტიურზე. ირიბარენის თქმით, **"საქართველოს მთავრობა ცდილობს, ამ ცხრა მილიონი დოლარით სასწაულები მოახდინოს და ყველაფერში გამოიყენოს."**

იგნასიო ირიბარენის პოზიციას სემეკიც იზიარებს. მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ელიზბარ ერისთავი აცხადებს, რომ **"ეს არის მიზნობრივი გრანტი, რომელიც თავიდანვე განსაზღვრული იყო გამრიცხველიანების პროცესის დასასრულებლად. რაც შეეხება ტარიფის განსხვავების დაფარვას, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება."**

ამერიკული კომპანია "ეი-ი-ესი" საქართველოში 1998 წელს შემოვიდა, იმ დროისათვის ელექტროენერგიის ტარიფი 4,5 თეთრს შეადგენდა. "ეი-ი-ესმა" ეტაპობრივი გაძვირებით ტარიფი 13,7 თეთრამდე გაზარდა. პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადების თანახმად, ერთი წლის შემდეგ კომპანიამ ტარიფთან დაკავშირებით უკუპროცესი უნდა დაიწყოს, ანუ ელექტროენერგია უნდა გაიაფდეს. თუმცა, როგორც "ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენელი სოფო ბრეტანჩუკი აცხადებს, ტარიფის გაიაფება უახლოეს ოთხ წელიწადში მოსალოდნელი არ არის. **"ტარიფში აისახება ის ინვესტიციები, რაც კომპანიამ სისტემის აღდგენისათვის ჩადო. ამ ინვესტიციების ამოღება უნდა მოხდეს ეტაპობრივად. ჩვენ რომ ახლა ტარიფი 40 თეთრამდე გავზარდოთ, ერთ წელიწადში ამოვიღებთ ჩადებულ თანხას, მაგრამ ეს მოსახლეობას უმძიმეს ტვირთად დააწვება, ამიტომ ტარიფი გაიზრდება შედარებით უმნიშვნელოდ და ეს რამდენიმე წელიწადს გასტანს,"** – განაცხადა სოფო ბრეტანჩუკმა. კორპორაცია "ეი-ი-ესი" "თელასის" რეაბილიტაციისათვის მსხვილი ინვესტიციების ჩადებას აღარ აპირებს. როგორც "ეი-ი-ესში" აცხადებენ, სისტემის 80-90 პროცენტი უკვე აღდგენილია. ასე რომ, როცა ეს კორპორაცია საქართველოს ენერგოსექტორში ინვესტირებულ 200 მილიონ დოლარს მთლიანად ამოიღებს, ელექტროენერგიის ტარიფის გაიაფებასაც მაშინ დაიწყებს.

www.24hours.ge
24 B

გამოსათხოვარი

# "ის ცხოვრობს გალუმპულ ტყეების მწუხარებით..."

## მონოლოგი დიალოგიდან

არის თუ არა პოეზია ბედისწერაო, - მეკითხებით. შესაძლებელია-მეთქი, - გპასუხობთ, რაკი არ მახსოვს, როდის და რამ დამაწერინა პირველი ლექსი. 12 წლისას უკვე ჩემი ხელნაწერი ჟურნალი მქონდა 30-მდე ლექსით. გამოდის, რომ პოეტად დავბადებულვარ.

დღემდე პოეზიის სამრეკლოდან ვიყურები და ვცდილობ, ყველაფერი ვაქციო პოეზიად, ცხოვრების პროზაც კი. ამდენად, ჩემი თვითგამოხატვის საუკეთესო საშუალება არის პოეზია, სხვა ყველაფერი დამხმარეა.

ზემოქმედების ძალა რომ ჰქონდეს ლექსს, ის ქართული უნდა იყოს, თავისი ბუნებით, რეალიებითა და ჰარმონიულობით. შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში თუ ვინმემ რიტმიკა და პოეზიის ორკესტრები იცის, ვიცი მეც. "თავის ქება კიტრად არ ღირს, კიტრის ფასი შაურიაო,"-იტყვიან, მაგრამ მე ჩემი რიტმებიცა მაქვს: მოკლე სტრიქონი და შემდეგ გრძელი სტრიქონი ქართულში არ ყოფილა და მე რატომ არ უნდა გამეკეთებინა? პოეზიაში იმდენი მეტრი, იმდენი მუსიკაა, იმდენი საშუალებაა და იმდენი ვიცი, რომ არათუ ჩემს ლექსს, სათარგმნ მასალასაც შესატყვისს მოვუძებნი. "**Буря мглою небо кроет**, **вихри снежные крутя**"- სხვა არაფერია, თუ არა "ნახეს უცხო მოყმე ვინმე...", ოთხი ქორე, ორი, ორი, ორი, ორი.

ხშირად კარგ ლექსს ხალხში, ქუჩაში ვპოულობ... ერთხელ, ორღობეში ვიდექით მე და ბესო ლებანიძე, ჩემზე 20 წლით უფროსი კაცი, ძალიან ცხელოდა რაჭაში, ბესომ ახედა ცას და მითხრა: ნახე, ნახე, ჩიბუხში ჩასადები ღრუბელიც არ ჩანსო, ისე შემძრა ამ სახემ, რომ თავისით მოვიდა ლექსი... რამდენია ასეთი "ნაპოვნი" ლექსები, ბევრიც უჯრაში მიწყვია, გასარანდავი.

პოეზია რჩეულთა ხვედრია, სამეფო ხილი და მე ბედნიერი ვარ რჩეულ სულებთან ერთობით... კრიტიკა ვერაფერს ახალს ჩემს დაწერილზე ვერ მეტყვის, ვეჭვობ, საერთოდ რამე მითხრას. ავი დავწერე თუ კარგი, თვითონაც ვიცი. როცა ლექსი გამომივა, შაურიც რომ არა მქონდეს და პურის ფული, იმ დღეებში კარგადა ვარ...

**"გარეთ ქარი დაყაჩაღობს,**
**თოვლს და ჩალა-ბულას ქურდობს,**
**კედელს თრიმლის ტოტი ამკობს,**
**ზედ ოცნება აბლაბუდობს...**
**და გალიის ფრინველივით**
**შინ სამშობლოს ფიქრი ბუდობს."**

### პოეზიის "გარეთ"

ზოგჯერ უპრინციპოც ვარ, ლბილიც, დამთმობიც, გააფთრებულიც, ლექსთან კი უკომპრომისო, დიდხანს მიყვარს გასუფთავება.

აზარტი არა მარტო პოეზიაში, ცხოვრებაშიც გრძელდება. გატაცების კაცი ვარ, მიყვარს პოკერი, სხვადასხვა სფეროებში მითამაშია, მაღალშიც და დაბალშიც. ადამიანთა ხასიათის შეცნობაში პოკერი არის ლაკმუსის ქაღალდი. ხშირად, წაგებისას, ისეთი უმწეო აღმოჩნდება კაცი, ისე არაფრად იქცევა, რომ შეგეცოდება; პირიქითაცაა, როცა ღირსეულად აგებს, კაცურად ადგება და გადის. საერთოდ კი, მოთამაშე ყოველთვის წაგებულია, იმიტომ, რომ დროს აგებს.

### ურთიერთობები

თუ ჩვენ მართლა მწერლები ვართ და ტყუილად არ ვეფიცებოდით საქართველოს სიყვარულს და მისთვის სიკვდილს ვაპირებდით, კომპრომისები უნდა გავაკეთოთ, ურთიერთობები შევინარჩუნოთ და წვრილმანებზე ავმაღლდეთ. მგლებიც კი ერთად შეჰყმუიან ზამთრის ღამეს და ჩვენ რაღა დაგვემართა?

### როდის იწურება პოეტი

შესაძლოა, ლექსი დამძიმდეს, აზრის მეტობა დაეტყოს, მაგრამ ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორ უნდა ამოიწუროს ცოცხალი პოეტი. ამოწურული მაშინ ხარ, ბეჭზე რომ გაგიდებენ.

### რას უტოვებს შთამომავლობას

2 ტომს - პოეზიას, 1 ტომს - თარგმანებს, 1 ტომს - პოეტის პროზას.



მურმან ლებანიძე

ოჯახის არქივიდან

ზაალ სამადაშვილის სვეტი

# ბოშები

ისინი ლოტკინის გორაზე, გამურულ ფიცრულებში ბინადრობენ, უფრო სწორად, ღამეებს ათევენ იქ - ცხოვრებით კი, ქალაქის ქუჩებში ცხოვრობენ...

ილვიძებენ სისხამ დილით, მზის ამოსვლისას. წინა დღეს მოპოვებული საკვებიდან რამე თუ აქვთ შემორჩენილი - პურის ნატეხები მაინც - ჰაიჰარად ყლაპავენ, თუ არადა, მშივრები მიუყვებიან გრძელ დაღმართს "გადასასვლელ" ხიდამდე. შედარებით მაძღრები მხოლოდ პატარები არიან, რომლებსაც ზურგზე მოკიდებამდე ძუძუს აჭმევენ კაფანდარა, გალეული დედები...

ჩადიან მეტროში, ჟეტონებს არ იღებენ. მგზავრობის საფასურის ნახევარს ან მესამედს - რამდენიმე ხუთთეთრიანს - გამოუძინებელ, ნახევრად მთვლემარე პოლიციელს უყრიან ხელისგულზე. ესკალატორზე შედგომისთანავე იწყებენ ყაყანს. ყაყანებენ იმის შესახებ, თუ სად ჯობია ამოსვლა, სად უფრო ილბლიანად ჩაივლის დღევანდელი დღე...

შეილალებიან ვაგონში. არც იქ წყნარდებიან, განაგრძობენ ხელების ქნევასა და ყვირილს. მგზავრების ერთი ნაწილი, უმეტესად, გაზეთებმომარჯვებული შუახნის კაცები მრისხანედ იყურებიან მათკენ. ჩასვლის გადაწყვეტილებას მოულოდნელად იღებენ... მატარებელი ბორბლების ღრჭიალით რომ გამოდის გვირაბიდან, მაშინ იწყებენ წამოშლას. შიშველი ფეხების ტყაპა-ტყუპით გადიან მარმარილოს ფილებით მოპირკეთებულ ბაქანზე, თან უკან-უკან იხედებიან, ვინმე ხომ არ ჩამოგვრჩაო...

ბუკიას ბაღთან ამოდიან, ყოფილ პეკინის ქუჩაზე. ნაწილდებიან. ზოგი სასტუმრო "აჭარისკენ" იღებს გეზს - ტოტალიზატორია იქვე და იქნებ მოგებულებს მაინც დასცინცლონ რამე, ზოგი "გეპეისკენ", სადაც მისაღები გამოცდების გამო მილეთის ხალხი ირევა, ზოგი კიდევ იპოდრომისკენ - მდიდარ ძიებს დილაობით უყვართ ცხენის ჭენება...

ორი მათგანი, ახალგაზრდა ქალი და ბავშვი - დანარჩენი ბავშვებივით ჭუჭყიანი და აჩაჩულ-დაჩაჩული გოგონა - მოპირდაპირე ტროტუარზე გადადიან და NIKE-ის მაღაზიის ვიტრინასთან ჩერდებიან. ახალგაზრდა ქალი ასფალტზე ჯდება და ფეხებს ირთხამს, ასე უფრო მოსახერხებელია ერთ ადგილას დიდხანს ყოფნა. გოგონა დგას. ქალი ხელით ანიშნებს, დაჯექიო, მაგრამ ბავშვი ყურადღებას არ აქცევს. ჯერ კიდევ მანქანებით სავსე ქუჩის გადმოჭრისას ამჩნევს წითელ-ყვითელი ატმებითა და მსხვილი, მოლურჯო ქლიავებით დახუნძლულ დახლს და თვალი ახლაც მისკენ გაურბის. დახლი ოციოდე ნაბიჯის მოშორებითაა მათგან...

ცოტა ხანში, გამვლელები ასეთი სცენის შემსწრენი ხდებიან: გრძელსარაფნიანი სქელი დედაკაცი გამეტებით ურტყამს NIKE-ის მაღაზიის ვიტრინასთან ატუზულ გოგონას. თან ურტყამს, თან დასძახის, - კიდევ გაბედავ ხელის ხლებას?!. კიდევ გაეკარები იქაურობას?!. ბავშვი იდაყვებით იგერიებს დარტყმებს, ხელში არაფერი უჭირავს. როგორც ჩანს, გამყიდველი - ეს სქელი დედაკაცი სადღაც რომ გაიგულა, დახლთან მიირბინა, მაგრამ ხილის აღება ველარ მოახერხა, მოუსწრეს... ფეხმორთხმით მჯდარი ახალგაზრდა ქალი არ ესარჩლება გოგონას, ისეთი სახით იყურება, თითქოს არც იცნობდეს მას. ცემით გულს რომ იჯერებს, დედაკაცი მიდის... მიდის გოგონაც... აქამდე მას ხმა არ გაუღია, ახლა კი, აცახცახებულ მხრებზე ეტყობა, რომ ტირის... ტირის და მუჭებით ისრესს თვალებს... უკან რომ ბრუნდება თხუთმეტი თუ ოცი წუთის შემდეგ, შავი ზოლები ატყვია ლოყებზე... ჯდება, მუხლები ნიკაპთან მიაქვს...

გვიანობამდე სხედან NIKE-ის მაღაზიის ვიტრინასთან ახალგაზრდა ქალი და გოგონა. ბევრს ვერაფერს, სამ ლარამდე ხურდას აგროვებენ. შებინდებისას ბუკიას ბაღიდან სტვენა ესმით, გროვდებიან სხვადასხვა მხარეს გაფანტული მათი თანამგზავრები. დგებიან. ახალგაზრდა ქალი იციოდე ნაბიჯით დაშორებულ დახლთან მოფუსფუსე სქელი დედაკაცისკენ იწყებს ყურებას. ისეთ დაჟინებულ მზერას აპყრობს, რომ დედაკაცი იხედება. იხედება თუ არა, ახალგაზრდა ქალი ზურგით უტრიალდება, წელში ოდნავ იხრება და მისკენ მიშვერილ გავაზე ხელს ირტყამს... მერე გოგონას ეუბნება, აბა, ჩქარაო და ქარივით მიჰქრის თავისიანებისკენ...

ლოტკინის გორაზე, გამურულ ფიცრულში დაბრუნებულ, პურის ყუითა და მარილმოყრილი პამიდვრით დანაყრებულ გოგონას ტკბილად დაეძინება. ამიერიდან მას ეცოდინება, რომ ხელი რამეზე არ უნდა წაუცდეს იქ, სადაც სარჩოს მოსაპოვებლად მოუწევს ყოფნა და კიდევ ის, რომ მის ცემას არავის შეარჩენენ. შეიძლება, ესიზმროს, როგორ შეექცევიან წვნიან ატმებს ისა და მისი უფროსი მეგობარი, რომელსაც, ალბათ, ძალიან მოუხდებოდა, მოუხდებოდა კი არა - დახატავდა, გრძელი, ყვავილებიანი სარაფანი...

ქალი - საუკუნე

# ლენი რიფენშტალს 100 წელი შეუსრულდა

ანა კორძაია-სამადაშვილი

*"როგორ შეიძლება, აღტაცება დავფარო – ის ხომ გენიოსია."*
*ჟან კოკტო, 1952 წელი.*

ალბათ, ბევრს ახსოვს გერმანული ნაციონალ-სოციალიზმის "დიდების" ამსახველი კადრები: ჩირაღდნების აღლუმი, აალებული ჯვრები, რაიხის არწივი ავისმომასწავებლად მოღრუბლული ცის ფონზე... განურჩევლად იმისა, იზიარებთ ფაშისტურ იდეებს თუ არა, სურათები უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს. მათი ავტორი ქალია. ლენი რიფენშტალი.

ის 1902 წლის 22 აგვისტოს დაიბადა ბერლინში. ჯერ ფერწერასა და გრაფიკას სწავლობდა, მერე ცეკვა დაიწყო. "მოცეკვავედ სიამოვნებით დავრჩებოდი. ცეკვით დაიწყო ჩემი შემოქმედება." და არამარტო შემოქმედება, თავბრუსდამხვევი კარიერაც, წინააღმდეგობებით აღსავსე და ბრწყინვალე.

გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიასა და შვეიცარიაში წარმატებული გასტროლების შემდეგ, 1923 წელს მიუნხენში, მოცეკვავე ლენი რიფენშტალის სოლო პრემიერა შედგა. ქალმა უმალვე მიიპყრო ყურადღება და 1926 წელს გადაიღეს ფილმში "წმინდა მთა". სწორედ ეს კინოდებიუტი აღმოჩნდა გადამწყვეტი, მისი წყალობით გაიცნო ადოლფ ჰიტლერი.

პირველად ჰიტლერს 1932 წელს შეხვდა ბერლინის სპორტის სასახლეში. ეს საერთოდ პირველი პოლიტიკური თავყრილობა იყო, რომელსაც ლენი დაესწრო. "გაოცებულმა აღმოვაჩინე, როგორი უშველებელი ჰიპნოტური ძალა ჰქონდა ჰიტლერს... ყველას აჯადოებდა და თავის მომხრედ აქცევდა. გაუსაძლისი იყო. ეს ნაპერწკალი მეც გადმომედო... ძლიერად იმოქმედა, იმდანად ძლიერად, რომ მის ფასეულობებს აღარ ჩავწვდომივარ. კითხვა დამებადა, რა კაცია, ასეთი გავლენა რომ აქვს, ვინ არის ის სინამდვილეში." ლენიმ წერილი გაუგზავნა მიუნხენში და თავისდა გასაოცრად პასუხი მიიღო. თურმე, სწორედ რამდენიმე დღით ადრე ჰიტლერს ადიუტანტისთვის უთქვამს, რომ ყველაზე მშვენიერი, რაც კი ოდესმე ენახა, ლენი რიფენშტალის ცეკვა იყო "წმინდა მთაში".

შეხვედრა ზღვის პირას შედგა. ისეირნეს. გასეირნებას ხანგრძლივი საუბარი მოჰყვა: "როდესაც რაიხსკანცლერი გავხდები, თქვენ ჩემს ფილმებს გადაიღებთ."

"არა, ჩემო ფიურერო, ამას არ ვიზამ, მე მხოლოდ იმის გაკეთება შემიძლია, რაც ჩემიდან მოდის, რაც მენატრება. შეკვეთით ფილმს ვერ გადავიღებ."

"როცა გაიზრდებით და მომწიფდებით, უკეთ მიხვდებით ჩემს იდეებს."

ძნელი სათქმელია, იდეების დამსახურება იყო თუ ლენის ავანტიურისტული ბუნებისა, მაგრამ ფიურერისთვის მართლაც გადაიღო ორი ფილმი: "რწმენის გამარჯვება" (1933) და "ნების ტრიუმფი" (1934). ამ ფილმებმა წარმოშვა ცნება "პოლიტიკის ესთეტიზაცია" - ფილმების უდავო მხატვრულ ღირებულებას გერმანიის პოლიტიკის ყველაზე მძვინვარე მტრებიც კი ვერ უარყოფდნენ: ჯონ გრირსონმა ლენის "ყველა დროის უდიდესი კინოდოკუმენტალისტი უწოდა" (როგორც ჩანს, არც ის იყო გულგრილი ლენის მიმართ: თანამშრომლებისა და მეგობრების თანდასწრებით ლონდონში, სადაც ყველამ იცოდა მისი პოლიტიკური მრწამსის შესახებ, ფეხსაცმელი გახადა და ფეხები დაუკოცნა). არადა, ომის დროს გრირსონი თვითონ ეცადა ანტიპროპაგანდის მიზნით "ნების ტრიუმფი" გროტესკად ექცია. მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა – ლენი რიფენშტალის ხელოვნება ხელწამოსაკრავი არ იყო.



ლენი რიფენშტალი

REUTERS

ლენი რიფენშტალისთვის არ არსებობდა გადაულახავი წინააღმდეგობა. კინოსთვის კლდეზე ცოცვა და თხილამურზე სრიალი ისწავლა; ისწავლა ოპერატორობა, რეჟისორობა და მონტაჟი; დააარსა საკუთარი კინოსტუდია Leni Riefenstahl Studio Film. იოზეფ გებელსსაც კი აჯობა: თუმცა, პროპაგანდის მინისტრს დიდად არ ეპიტნავებოდა და მის ჰიტლერთან მეგობრობასაც სკეპტიკურად უყურებდა, კონკურენცია ვერ გაუწია – ლენი იყო რაიხის მთავარი კინოშემოქმედი, ფაშიზმის ესთეტიკის "დედა". გადაღების უჩვეულო ტექნიკისა და მონტაჟის წყალობით, მის ფილმებში ნაციონალ-სოციალისტების გარემო მისტიკური და დიდებულია. ამ ეფექტს ლენი შუქ-ჩრდილითა და მუსიკით აძლიერებს.

1936 წელმა ხელოვანს ახალი წარმატება მოუტანა: ბერლინში ოლიმპიური თამაშები გადაიღო. ფილმი ადამიანის სხეულის, მოძრაობის მშვენიერების და ძალის დიდებაა და ორი ნაწილისგან შედგება: "ერების დღესასწაული" და "სილამაზის დღესასწაული". პრემიერა ფიურერის დაბადების დღეს შედგა და მიუხედავად იმისა, რომ უდავოდ პროპაგანდული ფილმი იყო, უმალვე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება.

ხელოვნება ხელოვნებად, მაგრამ როგორც ადამიანი, ლენი რიფენშტალი ფრიად წინააღმდეგობრივი ფიგურაა: 1940-41 წლებში ფილმის გადასაღებად ტყვეებს იწერდა საკონცენტრაციო ბანაკებიდან, თავისუფლებას პირდებოდა – ცხადია, ტყუილად. ამის გამო 1948 წელს გაასამართლეს კიდეც, თუმცა, პატიმრობას გადარჩა, გაამართლეს. საერთოდ, უამრავ სასამართლო პროცესში იყო ჩაბმული – 1949 წლიდან, ფაშიზმის პროპაგანდის გამო, მუდმივად უწევდა თავის მართლება. ფილმებს ველარ იღებდა და ფოტოგრაფიით შემოიფარგლა.

1972 წელს – როგორც ჩანს, დრო მართლაც ყველაფრის მკურნალია – "ხალხის მტერი" ლენი რიფენშტალი (70 წლისა) მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე ფოტოგრაფად მიავლინეს. ახალი წარმატებით ფრთაშესხმულმა, შემდგომ ყვინთვა დაიწყო და წყალქვეშა გადაღებებსაც მიჰყო ხელი. შემდეგ აფრიკაში გაემგზავრა, ნუბიელებთან, მათი ენა ისწავლა და სამშობლოში დაბრუნებულმა გამოსცა ალბომი "ნუბა" – ამჟამად არანაცისტური, მაგრამ მაინც პროპაგანდისტური: ადამიანის სხეულის დიდება.

რიფენშტალმა მონრეალის ოლიმპიური თამაშები გადაიღო, გამოსცა ფოტოალბომები "კაუს ნუბიელები", ტროპიკულ წყლებში გადაღებული "მარჯნის ბაღები". გერმანელებმაც კი, რომლებსაც ნაცისტური წარსულის გამო ლენის არსებობა ლამის რცხვენოდათ, კვლავ ამაყად განაცხადეს, რომ ის მათი თანამემამულეა.

1982 წელს რიფენშტალზე უკანასკნელი იერიში მიიტანეს: გადაცემაში "დუმილისა და სიბნელის დრო" კვლავ ბნელი წარსული გაახსენეს, დიდხანს არჩევდნენ მის როლს ნაციონალ-სოციალიზმის განვითარებაში. პასუხად, ლენიმ გამოსცა ალბომი "ჩემი აფრიკა". მოგონებებიც გამოაქვეყნა (კრიტიკოსებმა კი მისი გაცამტვერება სცადეს, მაგრამ ამაოდ – წიგნი ცხრა ენაზე ითარგმნა და დღემდე შესანიშნავად იყიდება).

მოკლედ, ლენი რიფენშტალთან ბრძოლაში ყველა დამარცხდა და საბოლოოდ მტრები შეეშვნენ. ლენის შესახებ ახლა ფილმებს იღებენ, ბალეტიც კი დადგეს, მისი ფოტოალბომები და წიგნები უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

და აი, თავის მესამე დაბადების დღეს, 2002 წლის 22 აგვისტოს, ლენი რიფენშტალი თავისი ბოლო ფილმის – "წყალქვეშა იმპრესიების" პრემიერას გეგმავს. ბოლო ფილმის, და არა უკანასკნელის.

ფეხბურთი

# კალაძე ნაკრებს თურქეთში დაუბრუნდა



კახა კალაძე

დიმიტრი ოზოლაძე

*ტრაპიზონში მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი რამ მოხდა. მოედანს დაუბრუნდა იტალიის "მილანის" ქართველი მცველი კახა კალაძე.ეს ფაქტი ორმაგად საინტერესოა.მატჩის დაწყებამდე ითქვა, რომ კალაძე მოედანზე მხოლოდ გატაცებული ძმის, ლევანის გათავისუფლების შემთხვევაში გავიდოდა. საინტერესოა, მიიღო თუ არა ქართველმა მცველმა რაიმე ინფორმაცია ტრაპიზონის მატჩის მსვლელობისას და ამის გამო გადაწყვიტა თუ არა მოედანზე გასვლა.*

ტრაპიზონში კი საქართველოს ნაკრებმა კარგი, საჭირო გაკვეთილი მიიღო. მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორმა, თურქეთის ნაკრებმა იოლად, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე ანგარიშით 3:0 მოუგო ქართველებს.არსებობს ორი ვარიანტი. პირველი, ვისაუბროთ დემეტრაძის, არველაძის მიერ გამოუყენებელ მომენტებზე. მეორე, ვისაუბროთ იმაზე, რომ საქართველოს ნაკრების თამაშში არ შეინიშნებოდა მწვრთნელის ტაქტიკური მონახაზი, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები მზად არ არიან (არც ფიზიკურად და არც მორალურად) თანამედროვე ფეხბურთის სათამაშოდ.ყველაზე მეტად შემაშფოთებელი სწორედ ტაქტიკური სქემის უქონლობაა. უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ნახევარდაცვის ხაზი. ქინქლაძე, რომლის შეძენაც, როგორც ამბობენ, "გალატასარაის" სურს (ალბათ, უკვე- სურდა), საერთოდ არ ჩანდა. ალბათ, დღეიდან მაინც უნდა შეწყდეს საუბარი იმაზე, რომ საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია. ირლანდიელებმა კი ერთი ამოსუნთქვით დაამარცხეს ფინელები. გუშინდელი თამაშის ფონზე, საუბარი იმის თაობაზე, რომ საქართველოს ნაკრები ირლანდიას 4 ქულას წაართმევს, უბრალოდ, სასაცილოა. ალექსანდრე ჩივაძემ შეუძლებელი უნდა შეძლოს და ნაკრების თამაში 26 დღეში შეცვალოს. ცალკე საუბრის თემაა დაცვა და მეკარე. თურქებმა ყოველგვარი სწრაფი თამაშისა და ჩვეული შეუპოვრობის გარეშე მოგვიგეს.შვეიცარიელები კი 7 სექტემბერს სულ სხვა თამაშს დაუპირისპირებენ ჩივაძის გუნდს. და ბოლოს, სათამაშო პრაქტიკა, რომელიც ქართველი ფეხბურთელების უმრავლესობას აკლია (ზოგს კი საერთოდ არ გააჩნია). ასეთი ფეხბურთელების მოედანზე გამოყვანა მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელის პასუხისმგებლობის ქვეშ ხდება. ლომაიას კარში გოლები არიფმა, ჯიჰანმა და მიჰატმა გაიტანეს.

## ამხანაგური თამაშები

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი – უზბეკეთი | 2:0 |
| რუსეთი – შვედეთი | 1:1 |
| ესტონეთი – მოლდოვა | 1:0 |
| ლატვია – ბელარუსი | 2:4 |
| უკრაინა – ირანი | 0:1 |
| ფარერები – ლიხტენშტეინი | 3:1 |
| ფინეთი – ირლანდია | 0:3 |
| ნორვეგია – ჰოლანდია | 0:1 |
| ბულგარეთი – გერმანია | 2:2 |
| ლიტვა – ისრაელი | 2:4 |
| რუმინეთი – საბერძნეთი | 0:1 |
| ხორვატია – უელსი | 1:1 |
| ლუქსემბურგი – მაროკო | 0:0 |
| პოლონეთი – ბელგია | 1:1 |
| მაკედონია – მალტა | 5:0 |
| ბოსნია – იუგოსლავია | 0:2 |
| ჩეხეთი – სლოვაკეთი | 4:1 |
| უნგრეთი – ესპანეთი | 1:1 |
| შვეიცარია – ავსტრია | 3:3 |
| იტალია - სლოვენია | 0:1 |
| ბრაზილია - პარაგვაი | 0:1 |
| ჩრდ. ირლანდია - კვიპროსი | 0:0 |
| შოტლანდია - დანია | 0:1 |
| ტუნისი - საფრანგეთი | 1:1 |






# აცრემლებული პრეზიდენტი, ფრენკ სინატრა და ანსამბლი "თბილისი"

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოში ვიზიტისას უეფა–ს პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, ალბათ, ყველაფერს მოელოდა (ბარგის დაკარგვის ჩათვლით), მაგრამ თუ თბილისში უმაღლეს დონეზე ცოცხლად შესრულებულ შვედურ ხალხურ სიმღერას მოასმენინებდნენ, ვერ წარმოიდგენდა.

დიახ, საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ადამიანის ცრემლების მოწმე გახდა. ეს, ერთი მხრივ, გულის ამაჩუყებელი, ხოლო, მეორე მხრივ, თვალსასეირო ამბავი რესტორან "სარაჯიშვილში", უეფა-ს წარმომადგენლობითი დელეგაციის პატივსაცემად გამართულ საზეიმო ბანკეტზე მოხდა.

უეფა-ს პრეზიდენტის თხოვნით, სუფრა ქართული ტრადიციების სრული დაცვით წარიმართა. თამადობის პატივი რეჟისორ გიზო ჟორდანიას ერგო. სადღეგრძელოებს, მათი შინაარსის შესაბამისად, მუსიკალურ ფონს ხალხური სიმღერის ანსამბლი "თბილისი" უქმნიდა. სწორედ ამ ანსამბლმა მოამზადა სიურპრიზი შვედი საფეხბურთო ფუნქციონერისთვის. ვერ გეტყვით, რამდენად გამართული შვედურით შესრულდა სიმღერა, რომელიც მელოდიურობით ჩვენებურ "გაფრინდი, შავო მერცხალოს" მოგაგონებთ, მაგრამ "თბილისმა" ისე შთამბეჭდავად იმღერა, რომ მრავალხმიანობას შეჩვეულ ქართველობასაც კი სუნთქვა შეეკრა. სიმღერის დასაწყისში იუჰანსონმა ხმის შეშველებაც კი სცადა, მაგრამ მალე გრძნობები მოეძალა და ცრემლები ღაპა-ღუპით წამოუვიდა. "ეს სიმღერა უთვალავჯერ მომისმენია, მაგრამ ასე ფანტასტიკურად შესრულებული, - პირველად", - ამოთქვა აღელვებულმა შვედმა.



სტუმარ - მასპინძლები

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

იუჰანსონს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდა. მერაბ ჟორდანიას წინასწარ გაურკვევია, რომ უეფა-ს პრეზიდენტის საყვარელი მომღერალი ფრენკ სინატრაა. სინატრასეულ გარემოს "ორერას" სოლისტ გენო ნადირაშვილზე უკეთ ვინ შექმნიდა? ჰოდა, გენო ნადირაშვილთან ერთად "ნიუ-იორკ, ნიუ-იორკ" იუჰანსონმაც იმღერა.

შვედმა პრეზიდენტმა და ქართველმა მომღერალმა სინატრას "მაი ვეი"-ც "დუეტში" იმღერეს, ხოლო "სტრენჯერს ინ ზე ნაით"-ის შესრულების დროს "დუეტი" "ტრიოდ" გარდაიქმნა, რადგან საკუთარი მუსიკალური მონაცემების გამოვლენა იუჰანსონის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, თურქმა ერზიკმაც ინება. ერთი სიტყვით, იუჰანსონი და მისი ამალა იმდენად მოხიბლული დარჩა ქართველი მომღერლის ამერიკული შემოქმედებით, რომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ უახლოეს მომავალში გენო ნადირაშვილს უეფა-ს რომელიმე კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნავენ.

ყველა ამ სიკეთესთან ერთად, უეფა-ს პრეზიდენტი დაჯილდოვდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის უმაღლესი ორდენით, რომელიც მას სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა გადასცა. ეს ორდენი არაქართველთაგან მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილ პრეზიდენტს, ესპანელ ხუან ანტონიო სამარანჩს აქვს მიღებული.

ერთი სიტყვით, უეფა-ს დელეგაცია იმდენად კმაყოფილი გაემგზავრა საქართველოდან, რომ, წესით, იუჰანსონმა ქართული პურ-მარილი არ უნდა "დააძველოს".

# 48 საათიანი სიმშვიდე ქარიშხლის წინ

გიგა გურასაშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში რომ თითოეულ დღეს ოქროს ფასი აქვს, გუშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით პრეზიდენტობის კანდიდატის დავით პეტრიაშვილის პრესკონფერენციაზე.

აქედანვე ნათელია, რომ 24 აგვისტოს სსფ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს დიდი ვნებათღელვა მოჰყვება. არა გვგონია, პრეზიდენტობის რომელიმე მაძიებელი დამარცხებას შეეგუოს, რადგან თითოეულ მხარეს, როგორც ეს საარჩევნო კამპანიიდან ჩანს, საწინააღმდეგო არგუმენტები საკმაოდ მოეპოვება. დავით პეტრიაშვილს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება არჩევნების კანონიერად ჩატარების უმთავრეს წინაპირობად მიაჩნია და მის აღსრულებასაც მოითხოვს. მერაბ ჟორდანია კი, როგორც მოგეხსენებათ, საკუთარ პოზიციას ფიფა-ს წესდებით ამყარებს. ერთი სიტყვით, გამარჯვებულიც და დამარცხებულიც ორ დღეში გამოვლინდება. როგორც დავით პეტრიაშვილმა განგვიცხადა, ახლა ჯერი ყრილობის დელეგატებზეა, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ, კენჭისყრა ფარული იქნება თუ ღია. თუმცა, როგორც თავად აღნიშნა, იგი ღია კენჭისყრის მომხრეა. იქვე ყრილობის დელეგატებს მოუწოდა, არჩევნებში, ბევრ სხვა რამესთან ერთად, პროფესიონალიზმსა და წესიერებასაც მისცენ ხმა. გარდა ამისა, პეტრიაშვილის თქმით, იგი მზადაა ტელედებატებისთვისაც. თანაც, ყრილობა აუცილებლად 24 აგვისტოს უნდა ჩატარდეს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

დავით პეტრიაშვილი

"დღეს ჩვენ, ფეხბურთის გარდა, ყველაფერზე ვსაუბრობთ. დროა, ამბიციები გვერდზე გადავდოთ. მნიშვნელობა არა აქვს, 24 აგვისტოს არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს. ვითარება არ უნდა დავძაბოთ, მით უმეტეს, რომ ცოტა ხანში ჩვენს ნაკრებს მნიშვნელოვანი თამაშები ელის. ყოველივემ კი, შესაძლოა, უმთავრეს გუნდზე იმოქმედოს. მთავარია, ნაკრებს ხელი არ შევუშალოთ," - განაცხადა პეტრიაშვილმა და იქვე დასძინა, რომ ხვალიდან, როგორც ამას სამართლიანი თამაშის წესები ითვალისწინებს, არჩევნებამდე 48 საათით ადრე, საარჩევნო კამპანიას წყვეტს.

# ბექჰემის მორიგი სკანდალი

ინგლისური ფეხბურთის ყველაზე ექსტრავაგანტური ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი ისევ მოექცა ბრიტანული პრესის ყურადღების ცენტრში, ოღონდ ამჯერად ჟურნალისტები არც მისი ფრჩხილების ლაქის ფერით დაინტერესებულან და არც მეორე ბავშვის სახელით. ამ ეტაპზე ბექჰემმა გულშემატკივრებთან ჩხუბით გამოიჩინა თავი. საქმე ის არის, რომ გრანდად მიჩნეულმა "მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევ ეტაპზე ნაკლებად ცნობილ უნგრულ კლუბ "ზალაეგერსეგთან" წააგო. ამ გუნდის სახელი ინგლისელმა ფანებმა იმ დღეს პირველად გაიგეს. სამშობლოში დაბრუნებულ ფეხბურთელებს გულშემატკივრები, ცხადია, ზარ-ზეიმით არ შეხვედრიან. ერთმა ისიც კი წამოაყვედრა მანჩესტერელებს, პრემიერლიგაში ახლად გადასული "მანჩესტერ სიტი" თქვენზე უკეთესი გუნდიაო, რაც ბექჰემმა ვერ აიტანა და გულშემატკივარს ჩხუბი აუტეხა.

წყალბურთი

# ბალკანეთზე კვლავ "მღელვარებაა"

გიგა გურასაშვილი

ბალკანეთის ომის შემდეგ იუგოსლავიის დედაქალაქი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სპორტულ ასპარეზობას მასპინძლობს. ათწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ბელგრადს წყალბურთელთა მსოფლიოს თასი ესტუმრა. ასპარეზობის მასპინძლებისთვის, ისევე, როგორც მსოფლიო თასის ტიტულისთვის მოპაექრე დანარჩენ შვიდ გუნდს, ტიტულის გარდა, მომავალი წლის ბარსელონას მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვისაც უწევთ ბრძოლა. თუმცა, სადებიუტო მსოფლიოს ლიგის მოგებით რუსეთის ნაკრებს საგზური უკვე მოგებული აქვს. მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება აქვს უნგრეთის ნაკრებსაც, რომელმაც იმავე გათამაშებაში ბრინჯაოსთან ერთად შესაბამისმა რეიტინგმაც შეუწყო ხელი. მომავალი წლის უმთავრესი ჩემპიონატის მასპინძელ ესპანეთს კი, ბუნებრივია, ყველაფერი მზამზარეულად ერგო. ასე რომ, მსოფლიო ჩემპიონატის საგზურისთვის ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევა ახლა, A ჯგუფში მოასპარეზე რუსეთისა და უნგრეთის გარდა, იუგოსლავიასა და აშშ-ს უწევს. B ჯგუფში კი საგზურისთვის, ხორვატია, იტალია, ესპანეთი და საბერძნეთი იბრძვის. მსოფლიო თასის პირველ მოულოდნელობად ამ უკანასკნელთა დაპირისპირება შეიძლება ჩაითვალოს. მსოფლიო ლიგის გათამაშებაში წარუმატებლობის შემდეგ ბერძნებმა საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინეს- ქულა წაართვეს მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთის ნაკრებს, რომლებმაც იმავე მსოფლიო ლიგის გათამაშებაში ვერცხლი მოიპოვეს. ბოლო მეოთხედში თავგამოდებამ და კარგმა დაცვამ ბერძნებს მატჩი ანგარიშით 5-5 დაასრულებინა. ჩემპიონატის ადგილობრივ გულშემატკივართათვის კი, რა თქმა უნდა, უმთავრესი მოვლენა მათი ნაკრების ამერიკელებთან ბრძოლა გახლდათ. 4 ათასზე მეტმა გულშემატკივარმა კმაყოფილმა დატოვა "ტასმაიდანის" საცურაო აუზი. იუგოსლავიელებმა მეტოქეს არანაირი შანსი არ დაუტოვეს. მასპინძელთა უპირატესობა განსაკუთრებით თვალშისაცემი პირველ ნახევარში გახდა, როდესაც პირველი მეორე მეოთხედებში ოთხი ბურთი გაუტანეს მეტოქეს, თავად კი არცერთი არ გაუშვეს. შეხვედრა 9-4 დასრულდა.



იუგოსლავია - აშშ

REUTERS

საკუთარი შეგირდებით კმაყოფილია რუსეთის ნაკრების მწვრთნელი ალექსანდრ კაზანოვიც. რუსეთისა და უნგრეთის დაპირისპირება ყოველთვის გამოირჩევა ხოლმე თავისი მნიშვნელობით, როგორც ერთი, ისე მეორე მხარისთვის. უნგრეთთან ბოლო ხუთი მატჩში წარუმატებლობების შემდეგ, როგორც იქნა, ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა გაიმარჯვეს (7-6). იტალიელებმაც ერთი ბურთის სხვაობით მოუგეს ხორვატებს (6-5).

## ტომ პეტის აუდიო-ფილმი

ტომ პეტი თავის ჯგუფთან, Heartbreakers-თან ერთად რიგით მეთორმეტე სტუდიურ ალბომს ამზადებს. ალბომის გამოსვლა 8 ოქტომბრისთვის არის დაგეგმილი. 12-ბილიკიანი დისკის პროდიუსერად თავად ტომ პეტისთან და მაიკ კემბელთან (Heartbreakers-ის გიტარისტი) ერთად, Black Crowes-ის წევრი, ჯორჯ დრაკულიასი მოგვევლინება.

წლის დასაწყისში ტომ პეტიმ ალბომს "თავისებური აუდიო-ფილმი" უწოდა, რომელიც უხალისო ამერიკაზე მოგვითხრობს. "ეს დისკი ერთ-ერთი საუკეთესოა ჩვენს შემოქმედებაში," – დარწმუნებულია ტომ პეტი.

ეს იქნება პირველი სტუდიური ალბომი, რომლსაც ჯგუფი ბასისტ ჰოვი ეპშტაინის გარეშე ჩაწერს. შეგახსენებთ - ეპშტაინმა Heartbreakers წლის დასაწყისში დატოვა. ჯგუფში დარჩენილ მეგობრებს დაუბრუნდა დრამერი სტივ ფერონი (მის პარტიებს შეიძლება მოუსმინოთ ალბომებში: Wildflowers და Echo. ალბომის ჩაწერაში ასევე მონაწილეობდა სკოტ ტერსტონი. ორ კომპოზიციაში კი, ჯგუფის პირველმა ბასისტმაც დაუკრა - რონი ბლეირი Heartbreakers-ს წელს დაუბრუნდა.

## ახალგაზრდული ტელეარხის ბედი სექტემბერში გადაწყდება

BBC Choice-ის შემცვლელი ახალგაზრდული ციფრული ტელეარხის BBC Three-ს ეთერში გასვლის საკითხს სექტემბერში განიხილავენ. კულტურის საკითხების მდივანს, ტეს ჯოუელს გადაწყვეტილება აგვისტოს ბოლოს, ედინბურგის საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალზე უნდა გამოეტანა. მაგრამ, საბოლოოდ, განხილვის სექტემბრისთვის გადატანა გადაწყდა.

"რაც მალე მიიღებენ გადაწყვეტილებას, მით უკეთესი ჩვენთვის, მაგრამ არაა პრობლემა, მოთმინებით დაველოდებით ქ-ნ ჯოუელს" – ამბობს BBC-ს პრეს-მდივანი. შარშან ჯოუელს ახალი ტელეარხის კონცეფცია გაურკვეველი ეჩვენა. თანაც, მისი აზრით, საეჭვოა, არხმა დიდხანს გაძლოს წარმატებული კომერციული კონკურენტების გვერდით. ამის მიუხედავად, დამოუკიდებელი სატელევიზიო კომისიის აზრით, ახალ არხს საკმაოდ კარგი პერსპექტივები უჩანს და მას თავიდანვე შეუძლია აუდიტორიის ორი პროცენტის მოზიდვა.

## შტეფი გრაფი მოდით დაინტერესდა

მოგეხსენებათ, ახალგაზრდა დედას ათასგვარი ნივთის ტარება უწევს თან. ამიტომ შტეფი გრაფმა დიზაინერებთან ერთად ახალი ტიპის ხელჩანთების შექმნა გადაწყვიტა. Vip Visit-ით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გრაფის კოლექცია ტყავის ნაწარმის საერთაშორისო ბაზრობებზე იქნება წარმოდგენილი.

## ჯორჯ კლუნი იხდის!!!

ჯორჯ კლუნის თაყვანისმცემლები უკვე ემზადებიან ნოემბერში კინოთეატრების დასალაშქრად. ახალ ფილმში, "სოლარისში", მათი საყვარელი მსახიობი ითამაშებს ფსიქოლოგს, რომელიც კოსმოსურ სადგურზე უჩვეულო მოვლენებს აწყდება. მაგრამ ეს მთავარი როდია: ერთ სცენაში ის სრულიად შიშველი წარდგება მაყურებლის წინაშე.

## დიდი კაცები, პატარა ქალები

ბრიტანელმა მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ საშუალოზე მაღალი ტანის მამაკაცებს და პატარა ტანის ქალებს პარტნიორის პოვნის, ოჯახის შექმნისა და შვილების გაჩენის შანსი გაცილებით მეტი აქვთ, ვიდრე სხვა დანარჩენებს. მამაკაცების საშუალო სიმაღლედ ბრიტანელებს 1,77 მ, ხოლო ქალების საშუალო სიმაღლედ – 1,62 მ მიაჩნიათ.

## დე ნიროს სასამართლო პროცესი დაიწყო

ორშაბათი ნამდვილად მძიმე დღე აღმოჩნდა რობერტ დე ნიროს ცხოვრებაში – კინოვარსკვლავმა სასამართლო პროცესი დაიწყო ფოტოგრაფის წინააღმდეგ. დე ნიროს სარჩელი მილიონ დოლარს შეადგენს. ფოტოსააგენტო Celebrity Vibe-ს თანამშრომელმა გამოაქვეყნა შარშან გადაღებული ფოტოსურათი, სადაც დე ნირო თავის მეგობარ შონ პენთან ერთად საზეიმო ტორტის სანთლებს აქრობს.

დე ნირო და შონ პენი, ერთ დღეს 17 აგვისტოს არიან დაბადებულები. შარშან მანჰეტენზე, დე ნიროს სახლის სახურავზე მასპინძელი 58, ხოლო პენი 41 წლისთავს აღნიშნავდნენ, როდესაც დაუპატიჟებელმა სტუმარმა მათ ფოტო გადაუღო. შემდეგ ეს ფოტოსურათი ფოტოსააგენტო Celebrity Vibe-ის გამოფენაზე იყო გატანილი, ამას გარდა, დაიბეჭდა ამერიკულ ჟურნალსა და გაზეთში. "ჩვენი პრეტენზიები აბსოლუტურად სამართლიანია, რადგანაც ვიღაც უნებართვოდ შემოძვრა კერძო სახლში და ჩუმად გადაიღო ფოტოსურათი," – ამბობს დე ნიროს ადვოკატი ტომ ჰარვი.

თავად, სააგენტოს მფლობელი ჯეფრი ბოიარდი ამტკიცებს, რომ მისი ფოტოგრაფი დაპატიჟებული იყო წვეულებაზე.



# პრაღის გადასარჩენად




*კაროლინა კურკოვა*

კაროლინა კურკოვა 18 წლის ჩეხი მოდელია, რომელიც, შესაძლოა, მალე პრაღის საპატიო მოქალაქედაც აირჩიონ. ამას კურკოვა ნამდვილად იმსახურებს – საშინელი წყალდიდობების შემდეგ მან გადაწყვიტა, დედაქალაქის აღსადგენად საერთაშორისო კამპანია წარმართოს. "მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ვარ, ვხედავ, რაც ხდება – მშობლებმა და მეგობრებმა ყველაფერი მიამბეს. მხარდაჭერა ყველასგან გვჭირდება და, რა თქმა უნდა, ევროკავშირისგანაც, რათა დაზარალებული რეგიონები დროულად აღვადგინოთ", - აცხადებს მოდელი. კურკოვა პრაღის მხარდამჭერი საერთაშორისო კამპანიის წამოსაწყებად, ბუნებრივია, საკუთარ მაღალ რეპუტაციას და გარეგნობასაც გამოიყენებს. ის ხომ უკვე დიდი წარმატებით სარგებლობს. მას შემდეგ, რაც შარშან მაისში, ჟურნალ "ვოგის" გარეკანზე გამოჩნდა, უკვე საკმაო პოპულარობა მოიპოვა.

# კეკლუცობიდან უთოობამდე



*ელიზაბეტ ჰარლი* REUTERS

სუპერმოდელმა და მსახიობმა ლიზ ჰარლიმ სწორედ ეს გზა გაიარა. მას შემდეგ, რაც პატარა დემიენის დედა გახდა, ის ჩვეულებრივ დიასახლისად იქცა. "არც კი ვიცოდი, სახლში თუ უთო მქონდა. თუმცა, ახლა ვგიჟდები დემიენის ტანსაცმლის გაუთოებასა და მისი ბოთლების სტერილიზებაზე", - აცხადებს ის. თუმცა, დიასახლისობა ჰარლის კინოკარიერის გაგრძელებაში ხელს არ უშლის. ორიოდე დღის წინ, ბევერლი ჰილსში მისი ახალი ფილმის Servicing Sara-ს ჩვენება შედგა. როგორც ჩანს, ელიზაბეტ ჰარლის ახლა ორი გამორჩეული გატაცება აქვს – მსახიობობა და დედობა. ახალი როლების განსახიერების გარდა, მას ძალიან უნდა კიდევ რამდენიმე შვილი ჰყავდეს. ამ ეტაპზე ჰარლი მამის კანდიდატურის შერჩევით არის დაკავებული. თუმცა, წინასწარვეა ცნობილი, რომ მის მიერ "გამოცხადებულ კონკურსში" გამარჯვების შანსი არც დემიენის მამას, სტივ ბინგს აქვს და არც ჰარლის ძველ შეყვარებულს, ჰიუ გრანტს.

# ლუისი უცნაურის იმიჯს ვერ ელევა

ჰოლივუდელი მსახიობი ჯულიეტ ლუისი, რომელიც თავისი სკანდალური როლებით არის განთქმული, თაყვანისმცემელს არც მომავალში მოაწყენს. ახლახან, ის ვარსკვლავებით სავსე ფილმზე, The Devil's Throat-ზე დაამტკიცეს. დისნეის ამ თრილერს რეჟისორი მაიკ ფიგისი გადაიღებს. ლუისს პარტნიორობას დენის ქუეიდი, შერონ სტოუნი და სტეფან დორფი გაუწევენ. ფილმი ეხება ოჯახს, რომელიც საოცნებო სახლს შეიძენს და ეს მათ ცხოვრებაში ახალი, კოშმარული ეტაპის დასაწყისი გახდება...

ლუისი ახლახანს მეორეხარისხოვან როლში, ჯენიფერ ლოპესთან ერთად, ფილმში Enough გამოჩნდა. The Devil's Throat-თან ერთად კი, ეკრანებზე ლუისის მეორე ახალი ნამუშევარიც, Hysterical Blindness გამოვა. მასში, ჯულიეტ ლუისთან ერთად, უმა თურმანი და ჯინა როულენდსიც მიიღებენ მონაწილეობას.

საინტერესოა, რომ ჯულიეტ ლუისმა პირველ წარმატებას ადრეულ ასაკში მიაღწია. უკვე 19 წლისა მარტინ სკორსეზეს ფილმში "შიშის კონცხი" შესრულებული მეორეხარისხოვანი როლისთვის ოსკარის და ოქროს გლობუსის ნომინაციებზე იყო წარდგენილი. ამ ფილმში ახალგაზრდა ლუისს პარტნიორობას რობერტ დე ნირო, ნიკ ნოლტი და ჯესიკა ლანჟი უწევენ. მას შემდეგ შესრულებული მრავალი როლის მიუხედავად, ლუისი ყველაზე მეტად მაინც ვუდი ჰარელსონსა და ფილმ Natural Born Killers-თან ასოცირდება. ჰარელსონი კი ლუისზე ასეთი აზრისაა: "ჯულიეტი ერთდროულად გამშვიდებს და ალგაფრთოვანებს. მის ხმაში ბრძენი ქალის გამოცდილებაც იგრძნობა და პატარა გოგონას სიხალისეც".



*ჯულიეტ ლუისი მსახიობ ჯოვანი რიბისთან ერთად*


უმაღლესი განათლება

დიდ ბრიტანეთში

თუ ხართ დაინტერესებული ბრიტანულ უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მიღებით

შედარებით დაბალ ფასებში

დაგვიკავშირდით:

- (899)-175381 26 აგვისტომდე
- ან პირდაპირ უნივერსიტეტში 29 აგვისტოს შემდეგ +441978293404
- ელ. ფოსტა: n.purcell@new.ac.uk

ორივე შემთხვევაში იკითხეთ ნელი პირსელი

www.newi.ac.uk



წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


## TV პროგრამა 22 აგვისტო

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 "ჯუნგლების წიგნი"
08.00 კურიერი
08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით"
09.50 კომუნიკატორი
10.40 "ცხოველთა ომები"
11.10 სერიალი "ოცნების კოშკები"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 მულტსერიალი
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ.ფილმი
17.05 ლუისი და კლარკი
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.20 ცხოველთა ომები
18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები"
19.15 მოგზაურობის ასი წელი
19.50 სერიალი "ოცნების კოშკები"
22.00 კომუნიკატორი
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფ. "ბენრი და ჯუნი". მთ. როლებში უმა ტურმანი, კევინ სპეისი

### პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე
08.10 "წყვილები და დუეტები"
08.35 სერიალი "მარკო პოლო"
09.20 მულტფილმი "შავი მეკობრე"
10.10 სერიალი "ძილის წინ"
10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება"
11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი"
12.15 სერიალი "გოგონები ქარში"
12.40, 19.00 ვიდეოპატრული
12.50 მხ. ფილმი "სისხლი და ღვინო"
14.25 საწინდარი
15.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. გერმანია - კორეა (განმეორებითი ჩვენება)
17.10 "ჩემი გოგლა"
17.45 "ჩვენ" 18.00 "ვესტნიკი"
18.20 სერიალი "გოგონები ქარში"
19.10 "ისტორიანი"
19.40 ბასტი-ბუბუ
20.55 სერიალი "ფსიქფაქტორი"
21.40 თეთრი ფარდა
22.15 მხ. ფილმი "ამაზონიის ჯუნგლები"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.10 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
00.30 სერიალი "მარკო პოლო"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 იყო და არა იყო რა
19.30 შვიდეული
20.30 დოკ. ფილმი
21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის"
22.10 მხ. ფილმი "გმირობის ფერი"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი"
10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი
10.45 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.25, 21.30 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
18.30 სერიალი "ბოშა" მე-2 სერია
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00 ოაზისი
00.15 მხ.ფ. "ღირსების იარაღი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "მისი რომანის გმირი"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ. ფილმი "რობერტო ზუკო"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "არტური"
22.30 მხ. ფილმი "ორმაგი მკვლელობა"
00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
11.30 "არასარეკლამო ათეული" განმეორებით
12.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
13.15 მუსიკა
14.00 მხ.ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "ყველა გიჟდება მერიზე"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 ევრო-ქართული ათეული
21.45 მოკლე სეანსი
22.00 "ჩაძიროზანა"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "არავის მიწა". მთ. როლში ბრანკო ჯუნიჩი
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "ატომური მატარებელი 2".
03.20 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "მუშკეტერი"
13.35 მხ.ფ "9 იარდი"
15.20 მხ.ფ "ნიჭი"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
17.15 მხ.ფ "მიზეზი"
19.20 სპექტრი
21.00 მუსიკა
21.45 მხ.ფ. "ფორესტ გამპი"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "შეჰრაზადი" 32-ე სერია
09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 32-ე სერია
10.15 დოკ. სერიალი "ჩემი ქვეყანა"
13.30, 17.25, 18.45, 20.20, 21.10, 21.40, 23.45, 00.20 მუსიკა
13.35 მხ. ფილმი "კეიტი და ლეო"
14.45, 19.00 "დისქავერი"
15.40 მხ. ფილმი "ვარდების საწოლი"
17.45 მულტფილმი "შეჰრაზადი" 33-ე სერია
18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 33-ე სერია
19.30 გადაცემა "საუბრები სტუდიაში"
21.20 მულტფილმი "კეთილი ჯადოქარი ოზიდან"
22.00 მხ. ფილმი "კარგი დედა" მთ. როლებში დაიანა კიტონი, ლიამ ნილსონი
00.40 მხ.ფილმი "უცნობი გმირი"

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი

09.30 ქართული მხატვრული ფილმი "ფატიმა"
11.05, 19.40, 23.05 დოკუმენტური ფილმი
12.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "რვა თავი ერთ ჩანთაში"
13.50 მხატვრული ფილმი "სადგური ორისათვის"
16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
16.15 მულტსერიალი "უხსოვარი დროის დედამიწა-4"
17.30 თრილერი "მაფიის ხალხი"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 Пресс-папье
20.30 ქართული მხატვრული ფილმი "ვინ შეკაზმავს ცხენს"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
01.05 მხატვრული ფილმი "შიდა გამოძიება"
03.30 დრამა "ღლის მიწურულს"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი
09.15 მუსიკალური ტაიმაუტი
09.35 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.45 "აჩიკუდა"
10.10 "სახლიდან გაუსვლელად"
10.45 მოკლედ... სპორტი
10.50 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" (განმეორებით)
11.00 მუსიკალური ბიორითმი
11.20 მულტსერიალი
11.40 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
11.45 "სახლიდან გაუსვლელად"
12.15 მუსიკალური ტაიმაუტი
12.35 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 "სახლიდან გაუსვლელად"
14.00 სპორტი
14.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
19.40 "პაემანი"
20.30 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები"
20.50 "სახლიდან გაუსვლელად"
21.20 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.30 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე"
21.55 მოკლედ... სპორტი
22.00 "სახლიდან გაუსვლელად"
22.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.40 "კინოკლუბი" - მხ.ფილმი "როცა ჰარი შეხვდა სალის"
00.15 პრესის მიმოხილვა
00.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი
00.40 "სახლიდან გაუსვლელად"
01.15 მუსიკალური ბიორითმი
01.40 მხ.ფ. ჟანრებში: - მხ.ფილმი "დაკარგული ქალაქი"
03.15 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро".
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости.
10.15, 19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.10 Х.ф. "ОТВЕТНЫЙ УДАР". Дело №10
12.50 Симвали России. Флаг.
13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"
14.15 "Народ против". Телеигра.
15.00, 22.35 "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ"
16.15 "Дикие штучки"
16.40 Ералаш
16.50 Х.ф. "ГРАФИНЯ ШЕРЕМЕТЕВА"
17.55 "САМОЗВАНЦЫ"
20.15 х.ф. "МОСКОВСКИЕ КАНИКУЛЫ"
22.00 Время.
23.40 Сериал "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"
00.30 "Окно в Европу" 01.00 Ночное "Время"
01.15 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ"
02.05 "ЧИЛОВЕК НИОТКУДА"

### РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР
06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.15, 21.35, 00.20 Вести-Москва
07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести.
07.10 "Православный календарь".
07.15, 08.30 Семейные новости
07.25, 08.20 Национальный доход
07.30, 08.40, 14.20 Афиша
07.40 Дорожный патруль
08.10, 09.40, 14.10 Экспертиза РТР
08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт
09.15 Открытая таможня
09.30 Вести дежурная часть
10.10 "100 к одному"
11.10 "ВОЗВРАЩЕНИЕ БУДУЛАЯ"
12.20 "КАМЕНСКАЯ" Фильм первый "НЕ МЕШАЙТЕ ПАЛАЧУ" часть первая
13.25 "Что хочет женщина"
14.30 Док. фильм "Архивные тайны"
15.25 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. ЗЛО ПОД СОЛНЦЕМ"
17.20 "ПРОСТЫЕ ИСТИНЫ"
18.20 "ЖАРА В ЛОС-АНДЖЕЛЕСЕ"
19.50 х.ф."ВОРОВКА
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.00 Вести
21.55 "КАМЕНСКАЯ" Фильм 6-й "НЕ МЕШАЙТЕ ПАЛАЧУ" часть 2-я
23.00 х.ф." МАРШ ТУРЕЦКОГО-2"
00.00 Вести - Подробности
00.30 х.ф. "ОПАСНЫЕ СВЯЗИ"
02.30 Лучшие матчи чемпионата мира по футболу 2002 г. Сборная Кореи- Сборная Италии. Матч за 3-е место.

### НТВ

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня.
07.05 Утро на НТВ.
07.35, 08.35, 16.40, 19.40 Криминал.
09.50 Остросюжетный фильм "ПОЛИЦЕЙСКИЕ: ГЛАЗА ЖЕРТВЫ".
11.20 Чистосердечное признание.
11.50 "Шоу Елены Степаненко". Юмористическая программа.
12.40 "Африканское счастье". "Профессия - репортер".
13.20 Приключенческий фильм "МУШКЕТЕРЫ ДВАДЦАТЬ ЛЕТ СПУСТЯ".
15.05 "Компромат: как с ним бороться?" Ток-шоу "Принцип домино".
17.30 Детективный сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ".
18.35 Боевик "РОЖДЕННЫЙ ВОРОМ".
19.40 Криминал.
20.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". "ВСЕ ЭТО РОК-Н-РОЛЛ".
21.40 Детективный сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ".
23.35 Игра на выживание в боевике "ТРОЕ".
00.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". "СМЕРТЬ НА ПЛЯЖЕ".
01.25 "О, счастливчик!" Азартная игра.
02.00 Триллер "РАЗУМ И СЕРДЦЕ".
02.45 Кома.

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024 იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში